# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 9 სექტემბერი, 2008 წელი.

№ 168 (6026)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ნიკოლა სარკოზი: რუსეთი ერთ თვეში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გარეთ მდებარე ტერიტორიებიდან ჯარებს სრულად გაიყვანს



**რუსეთი** ერთ თვეში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გარეთ მდებარე ტერიტორიებიდან ჯარებს სრულად გაიყვანს, - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტთან დიმიტრი მედვედევთან გუშინდელი შეხვედრის შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ. მისი თქმით, ბლოკ-საგუშაგოები სენაკსა და ფოთს შორის ერთ კვირაში მოხსნება, ხოლო ერთ თვეში ჯარების გაყვანის პროცესი მთლიანად დასრულდება.

2




## უკრაინა - შემდეგი მსხვერპლი?

3

კახა კუკავა:

## სააკაშვილისთვის მთავარია თბილისში საკუთარი სკამის შენარჩუნება



5

## არ გათეთრდების ყორანი...



6

## ნატოს სამხედრო არმადა შავ ზღვაში




7



THE TIMES

8

## პუტინი აპირებს, გააჯავროს აშშ ირანისთვის ბირთვულ სფეროში დახმარების გაწევით

შეხვედრა

# ნიკოლა სარკოზი: რუსეთი ერთ თვეში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გარეთ მდებარე ტერიტორიებიდან ჯარებს სრულად გაიყვანს



(პირველი გვერდიდან)

**რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა საფრანგეთის პრეზიდენტს ნიკოლა სარკოზის საქართველოსთან დაკავშირებული კონფლიქტის განხილვისას ახალი რეალიების გათვალისწინება შესთავაზა.**

— გავიდა თითქმის ერთი დაძაბული თვე, რომლის განმავლობაში „მედვედევი-სარკოზის“ გეგმის განსახორციელებლად ყველა საჭირო ნაბიჯი გადაიდგა, — განაცხადა დიმიტრი მედვედევმა გუშინ მოსკოვში საფრანგეთის პრეზიდენტთან შეხვედრისას.

მედვედევის განცხადებით, მიმდინარე თვის განმავლობაში ბევრი მნიშვნელოვანი რამ მოხდა. — რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა და ამიტომაც გაჩნდა ახალი მიდგომები, რომლებიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

* * *

**— რუსეთის ფედერაციასა და ევროკავშირს შორის აზრთა სხვადასხვაობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდბელობის აღიარების საკითხში უცვლელია, — განაცხადა დიმიტრი მედვედევმა.**

— რა თქმა უნდა, არის რამდენიმე თემა, სადაც ჩვენი თვალსაზრისები ერთმანეთს არ ემთხვევა. ძირითადად, ეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხია. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ევროკავშირმა დაგმო ეს გადაწყვეტილება, — განაცხადა მედვედევმა საფრანგეთის პრეზიდენტთან გამართული შეხვედრის შემდეგ მოწყობილ პრესკონფერენციაზე.

რუსეთის პრეზიდენტმა პრესკონფერენციის დროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობაზე საუბრისას კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ „ეს იყო ერთადერთი საშუალება ადამიანთა სიცოცხლისა და აფხაზი და ოსი ერის შენარჩუნებისათვის“.

* * *

**საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ მან რუსეთის პრეზიდენტს საქართველოს პრეზიდენტის წერილი გადასცა.**

სარკოზის თქმით, წერილში საუბარია საქართველოს თანხმობაზე, ხელი მოაწეროს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას.

**ინტერპრესნიუსი, ჩი-ეიჩ-ენი**

ინფორმაცია

## რამ შეაშფოთა პრაღა?

**რუსეთმა, რომელიც სულ უფრო მდიდარი და ძლიერი ხდება, საქართველოში შეჭრით დასავლეთს პირი მოუსინჯა და რეგიონში ასეთი ახალი კრიზისი კიდევ არის მოსალოდნელი. ამის შესახებ ჩეხეთის ხელისუფლების ერთ-ერთმა დიდმოხელემ განაცხადა.**

**— ჩვენ გვცდიან. ჩვენ ფრთხილები უნდა ვიყოთ და სიმტკიცე გამოვიჩინოთ, — განაცხადა ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ტომას პოდჟარმა.**

**როგორც პოდჟარმა გაეროში ყოფნისას ჟურნალისტებს განუცხადა, ჩეხეთში ვარაუდობენ, რომ რუსეთის საქართველოში შეჭრა უკანასკნელი კრიზისი არ არის და შესაძლოა ახალ კრიზისს დაუდოს საფუძველი.**

**— სულაც არ გავოცდებით, ეს მოვლენები ყირიმშიც თუ განმეორდება, — განაცხადა მან.**

## ხელს ვერ შეუშლის

**საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრ კოსტას კარამანლისის განცხადებით საქართველოს კრიზისი ენერგეტიკულ პროექტებში საბერძნეთის მონაწილეობას ხელს ვერ შეუშლის.**

**საბერძნეთი, როგორც „სამხრეთის ნაკადის“ ასევე აზერბაიჯანული გაზის ევროპაში ტრანსპორტირების პროექტების განხორციელებაში მონაწილეობს. კარამანლისის განცხადებით — კავკასიის კრიზისის და ენერგეტიკული სივრცის ერთმანეთში არევა დაუშვებელია.**

## სავიზო რეჟიმის გამარტივებისკენ მოუწოდებს

**ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა პიატრას ვაიტეკუნასმა საფრანგეთის ქალაქ ავინიონში გამართულ ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე ევროკავშირს მოუწოდა, დააჩქაროს საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის გამარტივება, აგრეთვე, საქართველოსა და უკრაინისთვის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღება, — იუწყება სააგენტო „რია ნოვოსტი“.**

**ვაიტეკუნასი გამოვიდა წინადადებით, რაც შეიძლება სწრაფად და არა უგვიანეს ოქტომბრისა მოწვეული იყოს დონორთა კონფერენცია, ამასთან, აუცილებლად თბილისში. მისივე თქმით, საქართველოში უნდა გაიგზავნოს ევროკავშირის სამხედრო-პოლიტიკური მისია.**

**მინისტრი მიიჩნევს, რომ ევროკავშირმა უნდა შეიმუშაოს წინადადებები საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიების მოდელზე.**

**მისივე თქმით, რუსეთისა და ევროკავშირის პარტნიორობასა და თანამშრომლობაზე ახალი შეთანხმების საკითხზე მოლაპარაკებები ამ ეტაპზე არ უნდა განახლდეს.**

ინტერპრესნიუსისა და ჩი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

რუსული ხედვა

# სერგეი მარკოვი: საქართველო ვერ იქცევა კავკასიის ისრაელად

**რუსეთი საქართველოს ტერიტორიიდან ჯარის გაყვანას არ ჩქარობს, თუმცა აცხადებს, რომ 6-პუნქტიან ხელშეკრულებას ასრულებს. რუსეთს საქართველოს მიმართ მსოფლიოს მხარდაჭერაზე თავისი არგუმენტები აქვს. ამ და სხვა საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენი“ რუსეთის დუმის დეპუტატს სერგეი მარკოვს ესაუბრა.**

**— როგორ შეაფასებდით ამჟამად არსებულ ვითარებას მას შემდეგ, რაც მოხდა რუსეთსა და საქართველოს შორის?**

— ამჟამად ყველა ცდილობს გაერკვეს, რა მოხდა. ამ კრიზისმა მკაფიოდ დააფიქსირა რამდენიმე რამ: უპირველეს ყოვლისა, რუსეთმა წარმოაჩინა ის წითელი ხაზი, რომლის გადავლის უფლებას იგი არავის მისცემს და არც თვითონ დაიხევს — ეს წითელი ხაზი არის რუსეთის მოქალაქეთა სიცოცხლე.

გარდა ამისა, რუსეთის ხელისუფლებამ დაადასტურა ნება და მზადყოფნა, იმოქმედოს კრიზისულ ვითარებაში. ამ ნების გამოვლინების გარეშე რუსეთს, რა თქმა უნდა, არავინ დაუჯერებდა — აკი ყველას ეგონა, რომ მოსკოვი მხოლოდ სიტყვებს დასჯერდებოდა. ეს იყო ნება იმისა, რომ რუსეთს გაერისკა, ეომა, დაეხოცა მტრები - ემოქმედა ერთი სიტყვით. აი, რა მაქვს მხედველობაში. დღემდე ამგვარი მტკიცე მოქმედებებისთვის მხოლოდ ამერიკა იყო ხოლმე მზად, ხოლო რუსეთი — არა.

ამან შექმნა ახალი რეალობა. ყველას ესმის უკვე, რომ ეს არის სიგნალი: ერთპოლარული მსოფლიო დასრულდა. ძალიან სერიოზული კრიზისი ელის ევროკავშირს. დღეს ევროპაში ისეთივე განხეთქილებაა, როგორიც



იყო ერაყის ომის დასაწყისში, როდესაც ევროპის სახელმწიფოთა ნაწილმა მხარი დაუჭირა ამერიკას, მეორე ნაწილმა კი — არა.

ევროპელებს სულ უფრო და უფრო მკაფიოდ ესმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დღეს უფრო მეტ პრობლემებს ქმნის, ვიდრე ამ პრობლემათა გადაწყვეტის საშუალებებს სთავაზობს პარტნიორებს. გასულ საუკუნეში ამერიკა იცავდა ევროპას საბჭოთა კავშირისგან. ამჟამად კი ევროპა მძიმედ ეგუება აზრს, რომ ამერიკა ბოროტებას უფრო მოუტანთ, ვიდრე სიკეთეს. ეს რეალობა ევროპული ისტებლიშმენტის აზროვნების სერიოზულ გარდაქმნას მოითხოვს.

**— ეთანხმებით თუ არა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას იმის თაობაზე, რომ რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საუბარი უნდა იყოს „პოსტამერიკულ მსოფლიოზე“?**

— არა, ეს უფრო ხატოვანი გამონათქვამი იყო. ხომ გახსოვთ, არსებობდა ასეთი ცნება „პოსტსაბჭოური სამყარო“, რომელსაც ყველა იყოფდა, ვისაც არ ეზარებოდა. ახლა უკვე ამერიკა დაიწყებს წასვლას ბევრი იმ რეგიონიდან, სადაც აღმოჩნდა სსრკ დაშლის შემდეგ. არადა, ამდენ ქვეყანაში უბრალოდ არ უნდა შესულიყვნენ. ახლა ზოგიერთი ამ ქვეყნიდან წასვლა მოუწევთ. რუსეთს კი კვლავ შეეძლება დაიკავოს ის რეგიონები, საიდანაც ამერიკა წავა. ამერიკა მეტისმეტად „გაიბერა“ მსოფლიოში მისი გავლენის თვალსაზრისით. ახლა მოუწევს „დაჩუტვა“. ეს არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ ამერიკა დასრულდა, მაგრამ მისი გავლენის სფერო ჰიპერტროფირებულად დიდი იყო და ეს ზონა უნდა შემცირდეს. ამერიკელებს აღარ გააჩნიათ რესურსები, ამოდენა ზონა აკონტროლონ მთელს მსოფლიოში.

საქართველოში დაიწყო ამერიკის გლობალური უკან დახევა. პროცესი გაგრძელდება. ამერიკას ესმის, რომ თუ უკან დახევა დაიწყო, პროცესი ძნელად თუ შეჩერდება, ამიტომაც უჭერს მხარს სააკაშვილს ყველაფრის მიუხედავად. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოდან ამერიკელები ჯერაც არ წასულან. საქართველოდან უკან დახევა არ უნდა და ცდილობს იქ თავი შეინარჩუნოს მაგრამ მაინც მოუწევს უკან დახევა.

**— „უკან დახევაში“ გულისხმობთ, რომ მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი აღარ იყოს?**

— დიახ, სწორედ ამიტომ უჭერენ მას მხარს ამერიკელები.

**— საქართველოში ომი დასრულდა თუ არა?**

— რა თქმა უნდა, არა. ომი დასრულდება მას შემდეგ, რაც ამერიკა წავა საქართველოდან და სააკაშვილი დაემხობა. კიდევ ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. საქართველო ვერ იქცევა კავკასიის ისრაელად ანუ ამერიკის სტრატეგიულ მოკავშირედ. ესე იგი ისეთ ქვეყნად, რომლის ინტერესები ამერიკის ინტერესებთან იგივდება. ჩვენ იმედი გვაქვს, ამერიკელები სააკაშვილის მხარდაჭერაზე უარს იტყვიან. ამერიკელები ახლა შოკირებულები არიან რუსეთის გამარჯვებით, თუმცა ამერიკაში ამჟამად „სქელკანიანი ადმინისტრაციაა“, რომელიც არ არის მზად, გაიქცეს და უკან დაიხიოს.

**— წავა თუ არა რუსეთი ბუფერული ზონებიდან აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ გარშემო?**

რასაკვირველია — ყოველ შემთხვევაში მანამ არა, სანამ იქ ნეიტრალური დამკვირვებლები არ იქნებიან შეყვანილნი, ოღონდ არა ნატოს კონტინგენტი. ეს შეიძლება იყოს ევროკავშირის საპოლიციო კონტინგენტი ევროკავშირის იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ნატოს წევრები არ არიან. მაგალითად საფრანგეთიდან — ეს ქვეყანა არ არის ნატოს სამხედრო ორგანიზაციის წევრი.

**— როდის დამთავრდება ეს ომი?**

— კავკასიაში ომები დამთავრდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ რეგიონში რუსეთის სრული და განუყოფელი დომინირება დამყარდება. ჯერჯერობით იქ კვლავ რჩებიან რუსეთის გარდა ამერიკა და ევროკავშირი.



**ესაუბრა ნიკა ვაშაკიძე**

განსჯა

# უკრაინა - შემდეგი მსხვერპლი?

**უკრაინა – შემდეგი მსხვერპლი? დიკ ჩეინისთან შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა იუშჩენკომ განაცხადა, რომ რუსეთის შავი ზღვის ფლოტი, რომელიც უკრაინის ტერიტორიაზე (ყირიმშია) დისლოცირებული, საფრთხეს უქმნის უკრაინის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. ესოდენ მკვეთრი განცხადება თითქოს „ჩაიკარგა“ სხვა დედაქალაქებში რუსეთის ანტიქართული აგრესიის თაობაზე გაკეთებული განცხადებების ფონზე, მაგრამ თვით უკრაინული პოლიტიკისათვის ამგვარი ერთმნიშვნელოვანი ბრალდება ბოლო დრომდე სრულიად უცხო იყო.**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კიევი ბევრად უფრო დიპლომატიურად ირჯებოდა რუსეთის მიმართ, ვიდრე თბილისი, მაგრამ კრემლის ანტიქართულმა აქციამ ინტერესთა მრავალი კონფლიქტი გამოიყვანა ლატენტური მდგომარეობიდან და მრავალ პროცესს „შავ-თეთრი“ შეფერილობა შესძინა. ანუ, მოსკოვმა იმას მიაღწია, რომ ევროპა და მსოფლიო კვლავ დაიყო „ბანაკებად“. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თუ გასულ საუკუნეში სსრკ-ს ბანაკში ათეულობით სრულფასოვანი სახელმწიფო თუ კრემლის სატელიტი იყო, ამჟამად მოსკოვის ბანაკში მოიაზრებიან ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასი“ და სამხრეთ ამერიკელი „შემოდგომის პატრიარქი“ დანიელ ორტეგა.

სომხეთმა, ბელორუსმა, ტაჯიკეთმა, უზბეკეთმა და ყაზახეთმაც კი, რომლებიც რუსეთის სტრატეგიულ მოკავშირეებად ითვლებიან, საქართველოს საწინააღმდეგო განცხადებები კი გააკეთეს, მაგრამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას მაინც არ ჩქარობენ. მიზეზი გასაგებია: დამოუკიდებლობის ცნობის შემთხვევაში, ისინი უმალვე დსთ-ს წევრებადაც უნდა აღიარონ. ზემოთჩამოთვლილ ქვეყნებს კი სულაც არ ეპიტნავებათ „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ გაფართოება მიკროსკოპული კვაზისახელმწიფოების ხარჯზე და ამ გზით მათთან გათანაბრება(!ქ მაშინ, როდესაც, მაგალითად, ყაზახეთი თავს ლამის რეგიონულ ზესახელმწიფოდ მიიჩნევს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნურსულთან ნაზარბაევს არ ახარებს დსთ-ს მომავალ სამიტებზე ედუარდ კოკოითთან და სერგეი ბაღაფშთან ერთ მრგვალ მაგიდასთან მიჯდომის პერსპექტივა. შესაბამისად, დღეს რუსეთის მთავარი მიზანი (რაც მოსკოვში უფრო რეალისტურად მიიჩნიეს, ვიდრე ცხინვალისა და სოხუმის საყოველთაო აღიარებაქ საქართველოში აპრობირებული ტექნოლოგიის სხვა მეზობელ ქვეყნებზე გავრცელებაა. ნატოს ბუქარესტის სამიტის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ „რუსეთი ყველაფერს იღონებს, რათა საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრებას ხელი შეუშალოს“. სხვათა შორის, ეს თავხედური განცხადება პირველი ნიშანი უნდა ყოფილიყო რუსეთის მზადყოფნისა – თუნდაც მთელ მსოფლიოს გადაჰკიდებოდა, ოღონდ კი უკრაინა და საქართველო საკუთარი გეოპოლიტიკური სივრციდან არ დასხლტომოდა.

თბილისში კი აშკარად იმედოვნებდნენ, რომ მოსკოვს „კეთილგონიერება დაუშლიდა“ ახალი ცივი ომის დაწყებაზე არ წასულიყო, რომელიც უდიდეს დანაკარგებს მოუტანს ამ ქვეყანას. თუმცა ნაციონალისტურ-იმპერიულ საფუძველზე ერის კონსოლიდაციის ცდუნება კრემლის ბინადართათვის დაუძლეველი აღმოჩნდა, ხოლო კონდი რაისთან ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადება They will never stop (ისინი აღარასოდეს შეჩერდებიანქ არა მხოლოდ რუსული იმპერიალიზმის მოწინააღმდეგეთა სლოგანად იქცა, არამედ უკრაინაში ამჟამად მიმდინარე პროცესებით დადასტურდა. ერთი შეხედვით, თითქოს „შეუჩერებლობის“ ესოდენ აშკარა დემონსტრირება და იმის დადასტურება, რომ საქართველო გამონაკლისი სულაც არ არის (როგორც პუტინ-მედვედევის ტანდემი აცხადებსქ მოსკოვისთვის ხელსაყრელი არ უნდა იყოს, მაგრამ კრემლისა და სმოლენსკის მოედნის ბინადართ აშკარად ძალიან ეშინიათ, რომ რაკი უკრაინა ჯერ სახელმწიფოებრივად არ დაუნგრევიათ, საქართველოს მაგალითმა შეიძლება კიდეც დააჩქაროს ამ ქვეყნის მიღება ნატოში. ან, როგორც მინიმუმ, დეკემბერში ჩრდილოატლანტიკური კავშირის მორიგ მინისტერიალზე მისთვის „გზამკვლევის“ მინიჭება., მართლაც, თუკი საქართველოს შემთხვევაში კიდევ არსებობდა არგუმენტი, რომ ქვეყანას ორი კონფლიქტური რეგიონი აქვს, უკრაინის იურისდიქცია სრულად ვრცელდება ყირიმშიც კი, სადაც რუსეთის შავი ზღვის ფლოტი დგას – ყირიმის საზღვრებს მთლიანად აკონტროლებს უკრაინის სასაზღვრო უწყება, ერთადერთ ვალუტად აღიარებულია გრივნა, უკრაინის პროკურატურას კი ამ ტერიტორიაზე ნებისმიერი კანონიერი მოქმედების განხორციელება ძალუძს. ნატოს კლასიფიკაციით ეს უმთავრესი პირობებია ამა თუ იმ სახელმწიფოს სრულქმნილობის დასადასტურებლად.

შესაბამისად, რუსეთი ყოველნაირად ცდილობს, თუ ახალ კონფლიქტს ვერ შექმნის, ყოველ შემთხვევაში, მისი შესაძლებლობა და საშიშროება მაინც გამოკვეთოს. სწორედ ამ მიზნით, ყირიმში რუსულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც, რა თქმა უნდა, მოსკოვიდან ფინანსდებიან, ბოლო დროს პროვოკაციულად დაიწყეს რუსული პასპორტების ფარული დარიგება ისევე, როგორც მოსკოვი ამას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში აკეთებდა 90-იან წლებში. უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ანატოლი ოგრიზკომ პირდაპირ განაცხადა გერმანული გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში, რომ „რუსეთი ფარულად ამრავლებს ყირიმში თავის მოქალაქეებს, რათა შემდგომ, მათი დაცვის მოტივით, უკრაინაშიც ისევე იმოქმედოს, როგორც საქართველოში“.



რაც მთავარია, ყირიმში რუსეთის მოქალაქეთა აღრიცხვა ვერ ხერხდება. უკრაინის კანონმდებლობა კრძალავს ორმაგ მოქალაქეობას, მაგრამ რუსეთის მოქალაქეები ჯერჯერობით არ ააშკარავებენ თავიანთ რუსულ პასპორტებს – ამას მხოლოდ მაშინ გააკეთებენ, როდესაც კრემლიდან შესაბამის სიგნალს მიიღებენ, ხოლო რუსი პოლიტიკოსები და პროპაგანდისტები კვლავ დაიწყებენ დემაგოგიურ აპელირებას „ადამიანის თავისუფალი არჩევანის უფლებაზე“.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია




## შალვა ნათელაშვილი ხელისუფლებას გადადგომისკენ მოუწოდებს

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი ქვეყნის გადასარჩენად ხელისუფლებას გადადგომისკენ მოუწოდებს.

მისი განცხადებით, უმჯობესია, ხელისუფლება მშვიდობიანი გზით შეიცვალოს.

„უკეთესი იქნება, თუ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, მის ხელისუფლებას ექნება თვითშეგნება და თანამდებობებს თავადვე დატოვებენ“, – აღნიშნა მან გუშინდელ ბრიფინგზე.

პარტიის ლიდერის თქმით, საქართველო მსოფლიო ბატონობისთვის რუსეთ-ამერიკის ბრძოლას, რუსეთის აგრესიას შეეწირა.

მისი აზრით, ქვეყნის სათავეში უნდა მოვიდეს არა პროამერიკული ან პრორუსული ხელისუფლება, არამედ ეროვნული ინტერესების გამტარებელი ძალა.

## ქართული მხარე იმედოვნებს

ქართული მხარე ჰააგის სასამართლოში შეტანილი სარჩელის საქართველოსთვის წარმატებით დასრულების იმედს გამოთქვამს. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნინო კალანდაძის განცხადებით, საქართველოს საკმაოდ მყარი არგუმენტაცია აქვს ეთნიკური წმენდის საკითხთან დაკავშირებით. თუმცა დასძინა, რომ ეს პროცესი ხანგრძლივი იქნება.

ქართული მხარე ჰააგის სასამართლოსგან ითხოვს, სახელმწიფოთშორისი სარჩელის არსებით განხილვამდე, მიიღოს გადაწყვეტილება, რომ რუსეთის მიმართ გატარდეს დროებითი ღონისძიებები. კერძოდ, რუსეთმა დაუყოვნებლივ შეაჩეროს ეთნოწმენდა და დისკრიმინაცია.



## რუსების კიდევ ერთი უკანონო ბლოკ-საგუშაგო

რუსები ფოთში კიდევ ერთ ბლოკ-საგუშაგოს ხსნიან. ორ უკანონო საგუშაგოს რუსებმა გუშინ მესამე დაუმატეს.



როგორც კორესპონდენტი იუწყება, ნაბადის საველე ბაზიდან 300 მეტრში, ზღვის სანაპიროზე რუსებმა ახალი საგუშაგო მოაწყვეს, გათხარეს სანგრები და განალაგეს ჯავშანტექნიკა.

ფოთში დამატებით შევიდა ოთხი ერთეული ჯავშანტრანსპორტიორი და 100-120 რუსი სამხედრო.

## მოსკოვი წინააღმდეგია

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის, ანდრეი ნესტერენკოს განცხადებით, მოსკოვი საქართველოში ევროკავშირის მიერ სამშვიდობო მისიის დამოუკიდებლად განხორციელების წინააღმდეგია.




მისივე თქმით, მოსკოვი მხარს უჭერს ეუთოს გადაწყვეტილებას კონფლიქტის ზონაში სამხედრო დამკვირვებელთა გაგზავნის შესახებ.

## რუსეთმა 6-პუნქტიანი შეთანხმება დაარღვია

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა ჟვანია მიიჩნევს, რომ რუსული თვითმფრინავების მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევით, „მოსკოვმა საერთაშორისო სამართლის ნორმები და რაც მთავარია, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 6 პუნქტიანი შეთანხმება დაარღვია, რითაც საერთაშორისო თანამეგობრობის შეურაცხყოფა მიაყენა“.



მისი თქმით „ეს ფაქტი არის უპატივცემლობა, რომელსაც რუსეთი ევროკავშირის და მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ იჩენს“.

## ხანძრის კერები ლიკვიდირებულია

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ხანძრის კერები უკვე ლიკვიდირებულია, განაცხადა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ირაკლი ღვალაძემ.

მინისტრის თქმით, მხოლოდ ბორჯომის ხეობაში განადგურებულია 1000 ჰექტარამდე ტყის მასივი. სერიოზული ზარალი მიადგა ატენის ხეობას.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

## ◉ ინფორმაცია

### პარტია „თავისუფლება“ ხელმოწერას არ აპირებს

**„პოლიტიკურ ძალთა ქარტიაზე“ ხელმოწერას პარტია „თავისუფლება“ არ აპირებს მისი წევრის, სანდრო ბრეგაძის განცხადებით, მათთვის გაურკვეველია ქარტიის მეოთხე პუნქტი, რომელიც ანტიკრიზისული საბჭოს შექმნას ითვალისწინებს.**

**ბრეგაძის თქმით, მასში გაწერილი არ არის, თუ რას წარმოადგენს აღნიშნული საბჭო.**

**სახელისუფლო და ოპოზიციურმა პარტიებმა "საქართველოს პოლიტიკოსთა ქარტიას" 5 სექტემბერს მოაწერეს ხელი.**

### რუსეთი აზერბაიჯანის გულის მოგებას ცდილობს

**რუსეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის მოსკოვში შეხვედრა გაიმართა.**

**რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყების ცნობით, სერგეი ლავროვმა და ელმარ მამედიაროვმა "განიხილეს რეგიონული და საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც სამხრეთ ოსეთზე საქართველოს თავდასხმის ალკვეთის შემდეგ შეიქმნა.**

**ასევე, განიხილეს რუსულ-აზერბაიჯანული ურთიერთობები პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროებში. განხილული იყო თურქეთის ინიციატივა "კავკასიაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის პლატფორმის შესახებ".**

**რაც შეეხება მთიანი ყარაბახის კონფლიქტს, ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთის აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს.**

ინტერპრესნიუსი

## ◉ განსჯა

# უკრაინა - შემდეგი მსხვერპლი?

(მესამე გვერდიდან)

შემდეგ მოხდება შეტაკების პროვოცირება, ყირიმის უმაღლესი საბჭოს მიერ სეპარატისტული გადაწყვეტილებების მიღება, ხოლო რუსეთს ნახევარკუნძულზე ჯარის შეყვანა არ დასჭირდება, რადგან იქ არათუ სამშვიდობო ბატალიონი (როგორც სამხრეთ ოსეთშია), არამედ მთელი ფლოტია დისლოცირებული — საზღვაო ქვეითთა მთელი კორპუსით, რომელსაც ძალუძს 5 წუთში გააკონტროლოს სევასტოპოლი — მით უმეტეს მისდამი რუსული მოსახლეობის ლოიალობის გათვალისწინებით. ყირიმში უკრაინული არმიაც დგას. მაგრამ რა ამით? განა ქართული ბატალიონი არ იდგა „სამხრეთ ოსეთში?“ ამ ტექნოლოგიის ნიშნები უკვე აშკარაა და იგი სრული ძალით ამოქმედდება უკრაინისთვის MAP-ის მინიჭების შემთხვევაში. ფიგურალურად თუ ვიტყვით, რუსეთი მშვიდ, განაზებულ და კომფორტულ ევროპას ეუბნება: გავეშებული და ყველაფერზე წამსვლელი დათვი ვარ — გინდათ და ხელს გაძლევთ ეს? არადა, ევროპაში ისიც კარგად ესმით, რომ უკრაინა-რუსეთის ომი (თუ დაიწყო ძ ექვს დღეში ნამდვილად არ დამთავრდება და შეიძლება ტაქტიკური ატომური იარაღის გამოყენებამდეც მივიდეს საქმე.

ესე იგი, რაც უფრო მეტი სტატია გამოქვეყნდება პუტინისა და მედვედევის „მანიაკალურობისა და სიგიჟის“ თაობაზე, მით უფრო დაშინდება კარტეზიანული ევროპა. რუსეთი კი მას „გამოსაძრომს“ უტოვებს, ანუ თავის სამართლებელ საბაბს: მართლაც, იქნებ იუშჩენკოს მისწრაფება და „უკრაინელი ერის“ იდენტობის მისეული პროექტი სულაც არ გამოხატავს საზოგადოების უმრავლესობის მისწრაფებას? განა საკამათოა, რომ ვიქტორ იანუკოვიჩს ათეულობით მილიონი უკრაინელი უჭერს მხარს? მის მიღმა კი უკრაინის ზემძლავრი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი დგას, რომელიც სისხლხორცეულად მიბმულია რუსეთზე. ამ ვითარებაში პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს დაპირისპირება ვიქტორ იუშჩენკოსთან (2010 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოების კვალობაზეძ ტაქტიკურ ხასიათს ატარებს და „ნარინჯისფერი რევოლუციის“ იდეალთა გადარჩენას ისახავს მიზნად. ანუ, იულია ტიმოშენკო ვიქტორ იუშჩენკოს იმავე მიზნით უპირისპირდება, როგორც „ვარდების რევოლუციის“ მონაწილე ზოგიერთი პარტია (მაგალითად „რესპუბლიკელები“ძ — მიხეილ სააკაშვილს: რათა სათავეში მოექცეს რევოლუციური იმედგაცრუების შედეგად წარმოქმნილ პროტესტულ ტალღას, წაიყვანოს იგი „სწორი მიმართულებით“ და არ დაუშვას მისი „არასწორი მიმართულებით“ წასვლა, ანუ ჩაანაცვლოს ვიქტორ იუშენკო, რათა გადაარჩინოს პროდასავლური კურსი და ეს კურსი თავად გაატაროს.

ამავე ტექნოლოგიის გამოყენებას უახლოეს მომავალში ნინო ბურჯანაძეც შეეცდება და იგი ისევე ვერ იქნება „პრორუსული“, როგორც იულია ტიმოშენკო. რაც შეეხება უკრაინის პრემიერ-მინისტრის მხრიდან საქართველოში რუსეთის აგრესიის თაობაზე დაკავებულ თითქოსდა უცნაურ პოზიციას — ეს არა ტიმოშენკოს „პრორუსულობის“, არამედ იმავე ტექნოლოგიის გამოვლინებაა, რომლითაც ქალბატონი პრემიერი პრეზიდენტ იუშჩენკოსაგან ტაქტიკურ გამიჯვნას ცდილობს. მან ძალიან კარგად იცის, რომ უკრაინელთა მნიშვნელოვან ნაწილს არ მოეწონა იუშჩენკოს აქტიურობა საქართველოში კრიზისის დროს, რაკი მასა დარწმუნებულია (ეს ნებისმიერი მასის თვისებააძ რომ „აუტკივარი თავი არ უნდა აიტკივოს“; „უკრაინას არ შეეხება“ და მისი ქვეყნის ჯარი არ მოვა. ანუ „Моя хата с краю – я ничего не знаю“.




**ნიკა ვაშაკიძე,**
**ХО-ЭОБ-ЭБО**

## ◉ ინფორმაცია

### მშვიდობიანი საპროტესტო აქცია

**ხობის რაიონში რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ მშვიდობიანი საპროტესტო აქცია მოეწყო. დაახლოებით, 1000-მდე მშვიდობიანმა მოქალაქემ მსვლელობა ხობიდან სოფელ პირველი მაისის მიმართულებით დაიწყო, რომელმაც, რუსების მიერ უკანონოდ გახსნილ ბლოკ-საგუშაგოსთან აქციის სახე მიიღო.**

**რაიონიდან რუსი ოკუპანტების დაუყოვნებლივ გასვლის მოთხოვნით ხობელები აქციებს პერმანენტულად მართავენ.**

### თანხების ხარჯვას არასამთავრობო ორგანიზაციები გააკონტროლებენ

**რუსული აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის და დევნილთა და დაზარალებულთა დასახმარებლად სხვადასხვა ქვეყნების მიერ გამოყოფილ თანხებს მონიტორინგს არასამთავრობო ორგანიზაციები გაუწევენ.**

**როგორც „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე გიორგი ჩხეიძემ განაცხადა, ის, თუ, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან“ ერთად რომელი არასამთავრობო ორგანიზაცია მიიღებს მონაწილეობას მონიტორინგის პროცესში - უახლოეს დღეებში განისაზღვრება**

**შეგახსენებთ, რომ რუსული აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისა და დევნილთა და დაზარალებულთა დასახმარებლად სხვადასხვა ქვეყნებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა თანხები უკვე გამოყვეს 1 მილიარდი დოლარი აშშ-ს ადმინისტრაციის მიერ, 1 მილიარდი ევრო — ევროკავშირის მიერ. 300 მილიონზე მეტი გამოყო მსოფლიო ბანკმა. 750 მილიონი დოლარის საკრედიტო ხაზი გამოუყო საქართველოს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა.**

ინტერპრესნიუსი და ХО-ЭОБ-ЭБО

## ◉ გვათქმევინეთ!

# ჭირსა შიგან გამაგრება გვმართებს

**უმძიმეს დღეებს განიცდის მრავალტანჯული საქართველო — ჩვენი შიდა პრობლემებისა და კონფლიქტების მოწესრიგებისათვის მოწვეულმა რუსეთის „მშვიდობისმყოფელებმა“ საომარ მოქმედებაში ჩაგვითრიეს და ლამის მიწასთან გაგვასწორეს.**

რუსეთმა გაუგონარი და ალმაშფოთებელი აგრესია განახორციელა თავისი სამხრეთელი მეზობლის, დსთ-ს წევრი ქვეყნის საქართველოს მიმართ, 7-დან 22 აგვისტომდე მან თავისი მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალებით (58-ე საერთო-საჯარისო არმია, სამარისა და ფსკოვის დივიზიები, 1200-მდე ტანკი, მთლიანობაში 3000-მდე ერთეული ჯავშანტექნიკა, არტილერია და ავიაციაძ მოახდინა საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილის ოკუპაცია, კონფლიქტის ზონის გარეთ დაბომბა ქალაქები და სოფლები, მშვიდობიანი მოსახლეობა, გაანადგურა სხვადასხვა დანიშნულების სამხედრო-სამეურნეო ბაზები, სტრატეგიული ობიექტები, აეროპორტები, რკინიგზა, ხიდები, სანავიგაციო კომუნიკაციები, მცურავი საშუალებები, ახალგაზრდული ბანაკები და სხვა.

ოკუპაციის დროს რუსი სამხედროები იქცეოდნენ უფრო გამომწვევად და სასტიკად, ვიდრე ფაშისტები მეორე მსოფლიო ომში. სამწუხაროდ, რუსეთის სამხედრო ნაწილები დღესაც აკონტროლებენ ფოთის პორტს, სენაკის, ხობის, ჩხოროწყუს, ახალგორის მიმდებარე ტერიტორიებს. თავიანთი შეიარაღებული ძალები ჰყავთ განლაგებული კოდორის ხეობასა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე. კიდევ უფრო გასაოცარი და სავალალო ის არის, რომ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირომ 25 აგვისტოს ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის შესახებ, რაც უყოყმანოდ დაამტკიცა რუსეთის პრეზიდენტმა დ. მედვედევმა.

ამ ქმედებით რუსეთმა უხეშად დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები, აიმხედრა მთელი ცივილიზებული სამყარო. რუსეთის პოლიტიკოსებსა და გენერლებს დაავიწყდათ „ჩეჩნეთის გაკვეთილები“ არ გაითვალისწინეს, რომ მათ საზღვრებში 80 ავტონომიური ერთეულია.

საოცარია, რამ გააბოროტა სტუმართმოყვარეობით განთქმულ საქართველოს გარეთ პუტინი და ლავროვი, ჟირინოვსკი და ზატულინი, როგოზინი და მათი მსგავსნი, სხვა ქვეყნებში ათასგვარი ხრიკებით გავრცელებული რუსული პასპორტების მქონე მოსახლეობის დამცველებად რომ იწონებენ თავს... ასე მზაკვრულად რომ აღვივებენ ხალხთა შორის მტრობასა და შუღლს, ებრძვიან საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას.

ასეთ გაუგონარი ბარბაროსობა არ ეკადრება ჩვენი ხალხების ურთიერთობის ისტორიულ ტრადიციებს და კულტურულ ფასეულობებს. ამასთან ერთად, რუსეთის ხელისუფლებამ გამოიჩინა დიდი უმადურობა, დაივიწყა ქართული საზოგადოებრიობის დამსახურება რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, პეტრე ბაგრატიონის პლეადის ქართველი გენერლების თავგანწირული ბრძოლა 1812 წლის დიდ სამამულო ომში გამარჯვებისთვის...

ფაშისტურ გერმანიასთან ომში პატარა საქართველომ 700 000 ჯარისკაცი გააგზავნა, რომლის ნახევარი ბრძოლის ველზე დაიღუპა. 165-მა კაცმა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება დაიმსახურა. ქართველი გენერლები და ოფიცრები უნარიანად ხელმძღვანელობდნენ საერთო-საჯარისო არმიებს, კორპუსებს, დივიზიებს, კრეისერებსა და წყალქვეშა ნავებს. უჩვენებდნენ საჰაერო ბრძოლის მაგალითებს. ამასთან, თავი ისახელეს პარტიზანულ ბრძოლებსა და ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობის მოძრაობაში.

განა შეიძლება ასე უპასუხისმგებლოდ დაივიწყონ მათი ხსოვნის პატივისცემის უწმინდესი მოვალეობა?

ისტორია არ ივიწყებს, რომ იმ საბედისწერო ომში ქვეყნის სათავეში იდგა ი.ბ. სტალინი, ფაშიზმთან ომში გამარჯვების ორგანიზატორი, რომლის მშობლიური ქალაქი გორი დღეს რუსეთის შეიარაღებული ძალების ბომბდამშენებით დაინგრა და გაპარტახდა. აწიოკებულია მისი მშვიდობიანი მოსახლეობა; დაღუპულთა, დაჭრილთა და მშობლიური ადგილებიდან დევნილთა შორის ბევრია მოხუცი, ქალი და ბავშვი.

სამშობლო, მისი ტერიტორიული მთლიანობა, თავისუფლება, ღირსეული მომავალი განსაცდელშია. გადაგვარჩენს მხოლოდ ერთობა, ერთმანეთის პატივისცემა და თავდადება.

ახლა, როგორც არასოდეს, გვჭირდება თავგანწირული ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ეკონომიკური აღმავლობისათვის.

ვეტერანთა საზოგადოებრივი გაერთიანებები ცენტრსა და ადგილებზე, როგორც ყოველთვის, მზად არიან, ბოლომდე გაისარჯონ ქვეყნისა და ხალხის სამსახურში, აქტიურად ჩააბან უმდიდრეს ცხოვრებისეული გამოცდილების, მაღალი პროფესიული მომზადებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

25 აგვისტოს ომის ვეტერანებმა თავი მოიყარეს რუსეთის საელჩოსთან. ისინი დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ საელჩომ მოახსენოს რუსეთის ხელისუფლებას, მის გენერალიტეტს, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ საომარი მოქმედებები, ნგრევა, ძარცვა და ყველა სადავო საკითხები გადაწყდეს მხოლოდ მოლაპარაკების მაგიდასთან, საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთპატივისცემის ვითარებაში.

რუსეთის ხელისუფლება, ბოლოს და ბოლოს, უნდა შეეგუოს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ამას მოითხოვს ისტორიის გაკვეთილები და ორი ერთმორწმუნე, მეზობელი ქვეყნის სამომავლო ინტერესები.

ჩვენთან არს ღმერთი!

**საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ცენტრალური კავშირის გამგეობის სახელით**

**ელვერ კუპატაძე, რევაზ ნაცარიშვილი, მოსე მდინარაძე, კარლო გარდაფხაძე, თორნიკე პაპავა, იოსებ ხაზარაძე, გიორგი ხაზარაძე, გურამ გვეტაძე, ბიძინა კარტოზია.**

STOP მიშა!

# კახა კუკავა:
# სააკაშვილისთვის მთავარია თბილისში საკუთარი სკამის შენარჩუნება



***ცხელი ზაფხულისა და საომარი ვითარების შემდეგ, საქართველოს ოპოზიციურმა სპექტრმა დუმილის დარღვევა და პოლიტიკური გააქტიურება განიზრახა. ჩვენი რესპოდენტი, კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი კახა კუკავაც, ქვეყანაში არსებულ კრიზისსა და ოპოზიციის გააქტიურების საჭიროებაზე გვესაუბრა.***

**— ბატონო კახა, როგორ აფასებთ აგვისტოში მომხდარ მოვლენებს.**

— ეს იყო ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედია არა მარტო უახლესი, არამედ ქვეყნის მთელი ისტორიის განმავლობაში. ეს იყო ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო ღალატი, რომლის მსგავსიც შეიძლება მხოლოდ 1921 წელს სერგო ორჯონიკიძის მიერ ჩადენილი მოქმედება იყო. სახელმწიფო, რომელსაც ჰქონდა პერსპექტივა, რომლის მიმართაც არსებობდა დასავლეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესები, რამდენიმე დღის განმავლობაში ნანგრევებად გადაიქცა და მისი პერსპექტივა დღეს ძალიან საეჭვოა. კონკრეტულად, ვის ჰქონდა კავშირი რუსეთის დაზვერვასთან, ვინ მისცა განკარგულება, შეიარაღებული ძალების უბრძოლველად დაეტოვებინათ ტექნიკა, ამ ტექნიკის დიდი ნაწილი სად წავიდა, როგორ რიგდებოდა იარაღი და ვინ რა მიიტაცა, ვინ იძლეოდა ურთიერთსაწინააღმდეგო ბრძანებებს და ა.შ. ის გამოძიების საგანია და ახლა გვარების დასახელება სპეკულაცია იქნება. მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მთლიანობაში ხელი შეუწყო რუსეთის ამ აგრესიას, სრულიად აშკარაა.

გავიხსენებდი რამდენიმე ძირითად პუნქტს. საქართველოს ხელისუფლება, ოპოზიციის მოთხოვნების მიუხედავად, მუდმივად უარს ამბობდა რუსეთის ჯარების სამშვიდობო მანდატი შეწყვეტაზე, საერთო ჯამში, რუსეთმა სწორედ ეს სამშვიდობო მანდატი გამოიყენა საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის განსახორციელებლად. საქართველოს ხელისუფლება, ოპოზიციის მრავალი მოთხოვნის მიუხედავად, უარს ამბობდა დსთ-ს დატოვებაზე, თქვენ გახსოვთ გივი თარგამაძის მოთხოვნით დაბლოკილი ოპოზიციური რეზოლუციის პროექტი. საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ჩინოსნები აწარმოებდნენ მოლაპარაკებას რუსეთისათვის მაგისტრალური გაზსადენის გადაცემის შესახებ და დღეს უკვე მთელი მსოფლიო პრესა წერს, რომ ამ ოკუპაციის სამიზნე არ იყო ცხინვალი და ლიახვის ხეობა, რომელსაც არ აქვს დიდი სტრატეგიული მდებარეობა, არამედ ეს იყო სწორედ ენერგეტიკული დერეფანი.

ამის გარდა, საქართველოს ხელისუფლება, როგორც დღეს უკვე დადასტურდა, რასაც აქამდე დეზინფორმაციას უწოდებდნენ, მარტში აწარმოებდა მოლაპარაკებებს აფხაზეთის გაყოფის შესახებ რუსეთის ხელისუფლებასთან. როდესაც გაზეთ „კომერსანტში" დაიბეჭდა ინფორმაცია კოდორთან საქართველოს საზღვრის გადმოტანის შესახებ, მაშინ საქართველოს ხელისუფლება ამას დეზინფორმაციას უწოდებდა და დღეს მ. სააკაშვილმა დაადასტურა, რომ მან მართლაც შესთავაზა მედვედევს საქართველოს ტერიტორიების რუსეთისთვის გადაცემა. ისტორია ყველაფერს შედეგების მიხედვით აფასებს.

**— ანუ ამ აგრესიისა და ომის შესახებ საქართველოს ხელისუფლებამ წინასწარ იცოდა და მას ეს ხელს აძლევდა?**

— საქართველოს ხელისუფლება ამბობს, რომ მან წინასწარ იცოდა. დიახ, სააკაშვილის არაერთი გამოსვლით ვიგებთ, რომ მათ აპრილში უკვე იცოდნენ, რომ რუსეთი ამზადებდა ამ აგრესიას.

**— ამან ჩვენი ხელისუფლება პროვოკაციაზე წამოაგო?**

— ბუნებრივია. საქართველოს ხელისუფლება, არ ვიცი, ნებით თუ უნებლიეთ (ამას გამოძიება დაადგენს), მაგრამ ფაქტია, რომ დიდი სიამოვნებით წამოეგო ამ პროვოკაციაზე. ალბათ ხელისუფლებაში ისეთებიც იყვნენ, ვინც უნებურად წამოეგო. გულწრფელად სჯეროდათ, რომ ცხინვალში ტერიტორიული აღდგენის საკითხს ემსახურებოდნენ, მაგრამ უდავოდ იყვნენ ისეთებიც, ვინც სრულიად გამიზნულად წამოეგო ამ პროვოკაციას და რუსეთს ფართომასშტაბიანი აგრესიის შესაძლებლობა მისცა.

**— ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლების მიზანიც ტერიტორიების დაკარგვა იყო?**

— ვინც რუსეთის დაზვერვის ინტერესებს ემსახურება, ბუნებრივია, იმ ადამიანების მიზანი სწორედ ის იყო, რომ საქართველოს დაეკარგა ეს ტერიტორიები. შეგახსენებთ, რომ ეს არ იყო შემთხვევითი მოქმედება. ეს იყო კარგად ორგანიზებული ჯაჭვი. კოდორსა და ლიახვის ხეობაში დაშალეს სამოქალაქო ჯგუფები, ადგილობრივი პარტიზანული ჯგუფები, რომლებიც რეალურად ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში ინარჩუნებდნენ ტერიტორიას. იქ შეიყვანეს რაღაცა ქვედანაყოფები, რომლებმაც გაჭირვების დროს, განსაკუთრებით კოდორის ხეობაში ფართხა-ფურთხით, როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი" წერს, მანქანებით გამოაღწიეს იქიდან და იქ საერთოდ არ იყო კოდორის ლეგიტიმური ხელისუფლება. რა უნდოდა აქიშბაიას ბათუმში? — აქ არის ძალიან სერიოზული სახელმწიფო ღალატი და ყველაზე მთავარია, რომ ისტორია განსჯის ყველაფერს არა ცალკეული დეტალების, არამედ შედეგების მიხედვით. საქართველომ, რომელმაც დაიწყო ეს კამპანია, ვითომდა ტერიტორიის მთლიანობის აღდგენის მოტივით, აღმოჩნდა, რომ ფაქტობრივად დაკარგა კოდორის ხეობა უბრძოლველად, დაკარგა, ლიახვის ხეობა. აი, ეს არის შედეგი.

**— თქვენი აზრით, ეს ტერიტორიები საბოლოოდ დაიკარგა?**

— საბოლოოდ ისტორიაში არაფერი არ ხდება და შეიძლება ის დროც მოვიდეს, რომ ტაო-კლარჯეთიც დავიბრუნოთ, მაგრამ ჩვენი მთავარი პრეტენზია საქართველოს ხელისუფლების მიმართ ის არის, რომ მას არა აქვს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების განზრახვა. საქართველოს ხელისუფლება მუდმივად ლაპარაკობს ფოთზე და ეს არის მისი უახლოესი ამოცანა. ხელისუფლება მუდმივად ამბობს, რომ ჩვენ არ შემოვუშვებთ რუსებს თბილისში, ჩვენ არ დავნებდებით... სააკაშვილისთვის მთავარია, რომ თბილისში თავისი სკამი შეინარჩუნოს. თუ მოგისმენიათ ერთი სიტყვა მაინც საქართველოს ხელისუფლებისაგან, რომ აქვთ რაიმე კონცეფცია, როგორ აპირებენ ისინი აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" პრობლემის გადაწყვეტას? ამ ტერიტორიების დაკარგვას სააკაშვილი შეგუებულია.

**— საერთაშორისო საზოგადოების იმედად ყოფნა თუ არის გამოსავალი?**

— საერთაშორისო საზოგადოების იმედად ყოფნა შეიძლება, თუ საქართველოში იქნება ადეკვატური ხელისუფლება. ბუქარესტის სამიტის დოკუმენტში წერია, რომ საქართველომ უნდა გაატაროს პოლიტიკური რეფორმები, განსაკუთრებით არჩევნებში და სასამართლო სფეროში. თუ გავითვალისწინებთ ამას, გვექნება დასავლეთის მხარდაჭერა, რაც გარანტიაა მაპისა. მაპი კი სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯია. თუმცა დღეს გვყავს ხელისუფლება, რომელიც ქვეყანას საერთაშორისო იზოლაციისაკენ მიაქანებს. 7 ნოემბრის, 5 იანვრის, 21 მაისის და აგვისტოს მოვლენების შემდგომ ჩვენი საერთაშორისო იმიჯი ძალიან შელახულია და თუ საქართველოს ხელისუფლებამ არ გადადგა სწრაფი, კარდინალური და სერიოზული ნაბიჯები, დეკემბერში საქართველო ვერანაირ მაპს ვერ მიიღებს. ნატოში საქართველო ვერ შევა იმიტომ, რომ ნატო, პირველ რიგში, არის მსოფლიო, გლობალური უსაფრთხოების სისტემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს უკვე არსებული წევრების უსაფრთხოება და არავინ არ დაიმატებს პრობლემებს, ანუ ქვეყანას, რომელსაც არა აქვს არანაირი პოლიტიკური გარანტიები.

დღევანდელ პირობებში კი საქართველო მართლაც წარმოადგენს საფრთხეს, ვინაიდან მის ტერიტორიაზე იმყოფება ბირთვული სახელმწიფოს ჯარები, ქვეყანას არა ჰყავს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება, ქვეყანაში არის არასტაბილურობა და ა.შ. ასეთი ქვეყნის ნატოში მიღების შანსი ნულის ტოლია. ამასობაში კი ჩვენი ქვეყანა ილუპება და საერთაშორისო მხარდაჭერის გარეშე საბოლოოდ დაილუპება.

**— პირადად თქვენ რაში ხედავთ გამოსავალს?**

— გამოსავალს ვხედავ მხოლოდ და მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ეტაპობრივ შეზღუდვაში და საბოლოოდ მის როტაციაში. მიხეილ სააკაშვილმა უნდა დაიწყოს სწრაფი პოლიტიკური რეფორმები და ჩვენ უნდა დავანახოთ დასავლეთს, რომ აქ არის დემოკრატია. დემოკრატიულ ქვეყანას კი დასავლეთი ვერ მიატოვებს. დასავლეთის სასიცოცხლო, სტრატეგიულ ინტერესებშია, რომ არ მოხდეს დემოკრატიის შეცვლა ავტორიტარიზმით. დღეს, ევროპის ზოგიერთ გაზეთში წერენ, რომ რატომ უნდა დაუჭიროს მხარი ევროპამ პუტინის ავტოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში სააკაშვილის ავტოკრატიას? ასეთ კითხვებს უკვე სვამენ და საქართველოს მყარი არგუმენტები სჭირდება მათზე საპასუხოდ. მსგავსი კითხვები, შესაძლოა დეკემბერში მაპის მიღების დროს, უფრო ხმამაღლა დაისვას საქართველოს მიმართ. ამიტომ, გამოსავალი არის ერთადერთი — ან სააკაშვილმა უნდა შეცვალოს პოლიტიკური კურსი ან თავად უნდა შეიცვალოს.

**— დღევანდელი სიტუაციის გათვალისწინებით ოპოზიციამ მეტი პასუხისმგებლობა ხომ არ უნდა იკისროთ?**

— საომარი სიტუაციების დროს ჩვენ შევწყვიტეთ ხელისუფლებასთან ოპონირება, რათა არ გახსნილიყო მეორე, შიდა ფრონტი. ჩვენი დუმილის პერიოდში კი ხელისუფლებამ შეცდომებს კიდევ ახალი და ახალი შეცდომები მიაყოლა. როდესაც სააკაშვილს შევთავაზეთ, შეგვემუშავებინა ანტიკრიზისული გეგმა და სიტუაციიდან გამოსვლაზე ერთობლივად გვეფიქრა, მისგან მივიღეთ ჩვეული ცინიკური პასუხი — მოდით, შევქმნათ ანტიკრიზისული საბჭო და ოპოზიციამ დაარიგოს ჰუმანიტარული პროდუქტიო. თავის ოპოზიციურ პარტიებთან მიაღწია კიდევაც ამ შეთანხმებას. დღეს ქვეყანას სჭირდება სრულიად სხვა ნაბიჯები და არა მაკარონისა და შაქრის დარიგების პრობლემის მოგვარება.

რადგანაც ხელისუფლება მზად არ არის, დიალოგის ფორმით გადაწყვიტოს ეს პროცესები, ვფიქრობ, უახლოეს დღეებში ოპოზიცია დაიწყებს დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოქმედებებს.

**— არსებულ ვითარებაში რა სამოქმედო გეგმა აქვს ოპოზიციას?**

— უახლოეს რამდენიმე დღეში ვაპირებთ ჩვენი გეგმის გამოქვეყნებას, რომლის თანახმადაც მიგვაჩნია, რომ სუსტი რგოლები, რომლებიც არსებობს ქვეყანაში, უნდა შეიცვალოს. შეუძლებელია ამ ყველაფრის შემდეგ იაკობაშვილი, კეზერაშვილი, გოგავა, მერაბიშვილი, გურგენიძე თავის პოსტებზე დარჩნენ. დღეს ქვეყანა ამოვარდნილია კონსტიტუციური ჩარჩოებიდან და მას სჭირდება დაცვა. ამ პასუხისმგებლობას, წესით, ხელისუფლება უნდა იღებდეს, მაგრამ ამჯერად ხალხი აიღებს თავის თავზე. საქართველოს ნაწილი ოკუპირებულია, ჩვენი ხელისუფლება კი მხოლოდ „Stop Russia"-ს კლიპებს იღებს.

**— ასეთ ვითარებაში, მორალურად და იურიდიულად თუ არის გამართებული პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა?**

— იმის მიუხედავად, რომ ყველამ იცის რა დამოკიდებულება გვაქვს ამ ხელისუფლებასთან, ჩვენ მიგვაჩნია, რომ დღეს გამოსავალი არის არა პრეზიდენტის გადაყენება, არამედ პრეზიდენტთან დიალოგი. ამისთვის კი მხოლოდ ჩვენი სურვილი არ კმარა, საჭიროა მეორე მხარის მზადყოფნაც. მათგან კი მხოლოდ გვესმის, რომ არის კარგი ოპოზიცია — ჯონდი ბაღათურია, გიორგი თარგამაძე... და დანარჩენები, ვინც გარეთ არიან, რუსეთის აგენტები და მოღალატეები ვართ. ქვეყანა მიექანება უფსკრულისაკენ და საჭიროა ამ ხელისუფლების განადგურებელი პოლიტიკის შეჩერება, საზოგადოებამ, რაღაცნაირად, უნდა მიაწოდოს მიშას მესიჯი — „Stop მიშა!" თორემ ასეთი გზით სიარული ახალ კრიზისთან მიგვიყვანს. დღეს სააკაშვილი ზურგით დგას საზოგადოებისგან, ის უნდა შემობრუნდეს „ჩარეცხილებისაკენ" და დაიწყოს დიალოგი, მსჯელობა და ფიქრი იმაზე, რაზეც ოთხი წელია არავის უფიქრია.

ნებისმიერი ასეთი ტრაგედიის წინ ყველაზე დამღუპველია შიდა ეროვნული განხეთქილება. აფხაზეთის დაკარგვისთვის ხელსაყრელი პირობები შექმნა თავის დროზე იმან, რომ ხელისუფლებამ ააოხრა სამეგრელო და მთავარი ზურგი შეუსუსტდა აფხაზეთს. დღეს, ამ ხელისუფლებამ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე, საზოგადოება დაყო მტრებად და გმირებად, მოაწყო 7 ნოემბერი, მოაწყო ბარბაროსული გაყალბებები იანვარში, გახლიჩა საზოგადოება ორ ნაწილად და ამ ყველაფრის შემდეგ, ქვეყანა იყო უკიდურესად დასუსტებული მტრის წინაშე. ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ კრიზისული სიტუაციის დასაძლევად პირველი ნაბიჯი შიდა კონსენსუსის მიღწევაა.

**ესაუბრა**
**თამარ ბუზალაძე**

ვარაუდი

# პოლიტიკის „გაყოფის" დროც დადგა

***ტერიტორიების „გაყოფის" შემდეგ, როგორც ჩანს, პოლიტიკის „გაყოფის" დროც დადგა. არასაპარლამენტო პარტიების სოლიდურმა წარმომადგენლებმა ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ ქარტიას ხელი არ მოაწერეს (შეგახსენებთ: ეს პარტიები ნოემბრის საპროტესტო აქციებში მონაწილეობდნენ). ისინი, როგორც ჩანს, ალტერნატიული გზების ძებნაში არიან. რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა დავით უსუფაშვილმა, ფაქტობრივად, პირდაპირ მიანიშნა, რომ ყველა, ვინც ქარტიას არ შეუერთდა, მალე სხვა ამპლუაში გამოჩნდება. დაკონკრეტებისგან კი თავი შეიკავა და აღნიშნა, ჩვენს ხედვებსა და გეგმებზე დამატებით ვიმსჯელებთო.***

ჯერ კიდევ ნოემბერში ოპოზიციის გააქტიურების უკან ბევრი რუსეთის პოლიტიკას ხედავდა. მინიშნებები პირდაპირიც იყო და არაპირდაპირიც, მათ შორის ხელისუფლების მხრიდან, მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებში. ბუნებრივია, ასეთ შეფასებებს ოპოზიცია არ იზიარებდა. ახლა ნოემბრის აქციების ორგანიზატორები ქარტიას არ უერთდებიან. არგუმენტი გაუგებარია. ის, რაც დოკუმენტშია მოცემული, ყველასთვის ანბანური ჭეშმარიტებაა (ასე აცხადებენ თავადძ, თუმცა, ხელს მაინც არ აწერენ.

ქარტიაში კი ორი მთავარი რამ არის დაფიქსირებული. პირველი: ქვეყნის პოლიტიკური კურსის შენარჩუნება — ინტეგრაცია ნატოსა და ევროკავშირში - და მეორე, პოლიტიკური პროცესების კონსტიტუციურ ფარგლებში მოქცევა. ანუ, დოკუმენტი საქართველოს პარტნიორად დასავლეთს აღიარებს და არა რუსეთს, თანაც მოუწოდებს პარტიებს, უარი თქვან ხელისუფლების გადატრიალებისა და დამხობის სურვილებსა თუ ცდუნებებზე. არასაპარლამენტო ოპოზიციამ ხელი სწორედ ამ დოკუმენტს არ მოაწერა. რატომ? შეიძლება ცდუნებას ვერ გაუძლოს? მოსკოვი ხომ დაბეჯითებით მოითხოვს სააკაშვილის გადაყენებას. ხშირად რუსეთიდან სახიფათო განცხადებებიც ისმის.

იხ. 7 გვ.

## ◎ ეს უნდა ვიცოდეთ



**ერთ-ერთი პირველი, ვინც ხმა აღიმაღლა და მსოფლიოს ხალხების გასაგონად დაგმო რუსეთის აგრესია ქართველი ხალხის წინააღმდეგ, პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი იყო. ეს არაა გასაკვირი — პოლონელ ხალხს ბევრი სიმწარე და გაუგონარი ღალატი ახსოვს რუსეთისგან.**

XVIII საუკუნეში რუსეთმა, სხვა სახელმწიფოებთან ერთად, სამჯერ მიიღო აქტიური მონაწილეობა პოლონეთის მიწების დანაწილებაში, იგი იყო ერთ-ერთი დამნაშავე პოლონეთის სამეფოს გაუქმებაში, რომლის უკანასკნელი მეფე სტანისლავ პონიატოვსკი პეტერბურგში, პავლე I სამეფო კარზე საპატიო ტყვეობაში იმყოფებოდა და იქვე გარდაიცვალა.

1794 წელს, რუსეთის ჯარებმა, სუვოროვის სარდლობით, სისხლში ჩაახშვეს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ტ. კოსტიუშკოს ხელმძღვანელობით პოლონელი ხალხის აჯანყება. სწორედ ამიტომ, პოლონელები, ნაპოლეონის ჯარებთან ერთად, გააფთრებით იბრძოდნენ რუსების წინააღმდეგ. როდესაც ვენის კონგრესზე, 1814 წელს, რუსეთის იმპერატორმა განიზრახა პოლონეთის მიწების შემოერთება, ალექსანდრე I-ს მისი ერთგული მრჩევლები აფრთხილებდნენ თავი შეეკავებინა ასეთი ქმედებისაგან და პირდაპირ ეუბნებოდნენ, „პოლონელის გულში რუსისადმი სიყვარული არასოდეს დაისადგურებსო". ალექსანდრე I-მა მაინც შემოიერთა ვარშავის საჰერცოგო და რუსეთის შემადგენლობაში შეიქმნა „პოლონეთის სამეფო", რომლის მეფისნაცვლად ალექსანდრე I-ის ძმა კონსტანტინე დანიშნეს.

თავდაპირველად რუსები პოლონელებს ჰპირდებოდნენ მათი მმართველობის ფორმების, ეროვნული ტრადიციების, ენისა და სხვათა. ხელშეუხებლობას, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთი „ევროპის ჟანდარმი" გახდა, დაიწყო პოლონელების გარუსების პოლიტიკის განხორციელება. ამან გამოიწვია 1831-32წწ. პოლონელების აჯანყება. ეს აჯანყება რუსებმა სისხლში ჩაახშვეს, სადამსჯელო ჯარის მთავარსარდალს პასკევიჩს კი ამ „დამსახურებისთვის" „ვარშავსკი" უწოდეს და პოლონეთის სამეფოს მეფისნაცვლად დანიშნეს. ნიკოლოზ I-ს აჯანყების ჩახშობა ევროპის დიდი სახელმწიფოების წაყრუების პოლიტიკამ გაუადვილა.

მძიმე მარცხის მიუხედავად თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პოლონელები არ ეგუებოდნენ რუსიფიკატორულ პოლიტიკას და 1863 წელს კვლავ აჯანყდნენ. ამ აჯანყების ჩახშობისას რუსი ჯარისკაცები მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ გაუგონარ სისასტიკეს იჩენდნენ, აიძულებდნენ მათ, მიეტოვებინათ საცხოვრებლები და თავშესაფარი მეზობელ სახელმწიფოებში ეძებნათ. მაშინდელი ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა, კვლავაც, ისევ კონიუქტურული მოსაზრებით, არ დაგმეს რუსეთის ასეთი ველურობა, ზოგიერთმა კი რუსის ჯარს თავიანთ ტერიტორიაზე ლტოლვილი პოლონელების დევნის უფლებაც მისცა.

შემდეგ, არც საბჭოთა რუსეთმა უღალატა თავის ტრადიციულ ვერაგულ პოლიტიკას და 1939 წლის 23 აგვისტოს ჰიტლერულ გერმანიასთან დადო „რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის" სახელით ცნობილი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ჰიტლერმა და სტალინმა გაიყვეს ევროპის სახელმწიფოთა, მათ შორის პოლონეთის, ტერიტორიები. სამართლიანად აღნიშნავს ზოგიერთი ისტორიკოსი, ეს პაქტი რომ არა, ჰიტლერული გერმანია ვერ გაბედავდა, ერთი კვირის შემდეგ მეორე მსოფლიო ომის დაწყებასო. ამ პაქტის შემდეგაც გრძელდება პოლონეთის მიმართ ვერაგული პოლიტიკის განხორციელება. 1940 წელს, ბელორუსიაში, კატინის ტყეში, საბჭოთა შინსახკომმა 12 000 პოლონელი ტყვე სამხედრო პირი დახვრიტა და ამით მნიშვნელოვნად შეამცირა პოლონელების მიერ ფაშისტური გერმანიის მიმართ წინააღმდეგობის გაწევის უნარი. ამ სამარცხვინო ფაქტსაც საბჭოთა კავშირი, ბოლო დრომდე, დიდი მონდომებით მალავდა.

1944 წელს, როდესაც საბჭოთა ჯარები ვარშავას მიუახლოვდნენ, მათი დახმარების იმედით, ვარშავაში აჯანყება დაიწყო. აჯანყებულებს არ სურდათ თავიანთ ქვეყანაში საბჭოთა წყობილების დამყარება. ამიტომ, რუსები არ დაეხმარნენ ეთნიკურ თანამოძმეებს და გერმანელებს საშუალება მისცეს, ვარშავა მიწასთან გაესწორებინათ. (ალბად, გახსოვთ ცნობილი პოლონელი რეჟისორის ანჯეი ვაიდას ფილმი „ფერფლი და ალმასი"ძ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გერმანელებმა ვარშავა დატოვეს, საბჭოთა ჯარები ქალაქში შევიდნენ. დაღლილები ვიყავით და ამიტომ ვერ დავეხმარეთ აჯანყებულებსო, იმართლებდნენ თავს საბჭოთა ჯარების მთავარსარდლები მუხანათური საქციელის გამო.

# არ გათეთრდების ყორანი...

ასეთი ფაქტების მოტანა სხვა ხალხების, მათ შორის ქართველების მიმართაც მრავლად შეიძლება.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა სარგებელი მოაქვს საკუთრივ რუსეთისათვის, რუსი ხალხისათვის ასეთ ვერაგულ, ცბიერ პოლიტიკას? ზიანის მეტი არაფერი! მსოფლიოს ცივილიზებული ერებისაგან იზოლაცია (1853-56 წწ. ყირიმის ომში რუსეთს არც ერთმა სახელმწიფომ მხარი არ დაუჭირა და მან სამარცხვინოდ წააგო იგიძ, სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტის დაკნინება, რუსეთის მოქალაქეების აბუჩად აგდება და სხვა მორალური და პრაქტიკული მნიშვნელობის უარყოფითი შედეგები.

ეროვნული სახელმწიფოს, ეროვნული ტრადიციებისა და ეროვნული თავმოყვარეობის შეურაცხყოფა სხვა ქვეყნის მიერ, ისეთი ფაქტია, რომელიც ყოველ ცივილიზებულ ხალხში თაობიდან თაობაზე გადადის, მათ ცნობიერებაში რჩება და შემდეგ პერიოდულად, სხვადასხვა ფორმით ვლინდება. ეს კარგად იცოდა გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ, პრუსიის კანცლერმა ოტო ბისმარკმა. 1866 წელს, ავსტრიის იმპერიის დამარცხების შემდეგ მან უარი ათქმევინა პრუსიის მეფეს ვილჰელმ I-ს თეთრ ცხენზე ამხედრებული შესულიყო ვენაში და ასე საჯაროდ, მსოფლიო ხალხების თვალში დაემცირებინა ავსტრიელები. ბისმარკმა კარგად იცოდა, რომ საფრანგეთთან მოსალოდნელი კონფლიქტის შემთხვევაში, მუდამ დაბოღმილი, რევანშისათვის განწყობილი ავსტრიის იმპერია პრუსიისათვის ძალიან საშიში იქნებოდა.

საფრანგეთის პრეზიდენტი დე გოლი მემუარებში აღნიშნავს: ჩემს ბავშვობისდროინდელ მეხსიერებას შემორჩა დეიდაჩემის ნაამბობი 1870-71 წწ. საფრანგეთ-გერმანიის ომში ფრანგი ჯარისკაცების თავგანწირული ბრძოლებისა და მათი გმირულად დაღუპვის შესახებ. ამ დროს მას თვალებიდან ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდაო. ალბათ, ამ ფაქტმაც განაპირობა დე გოლის შეუპოვარი ბრძოლა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ.

პოლონეთში ტ. კოსტიუშკოს საფლავზე, ერთი ხანშიშესული ქალი შეურაცხმყოფელი სიტყვებით გაგვიმანსპინძლდა (რუსები ვეგონეთძ. და ეს მოხდა კოსტიუშკოს აჯანყებიდან 200 წლის შემდეგ!

პოლონელები, კომუნისტური რეჟიმის დროსაც, ყოველ წელს, 1 აგვისტოს, აღნიშნავდნენ 1944 წელს ვარშავის აჯანყებაში დაღუპულთა ხსოვნას და სანთელს ანთებდნენ მათ საფლავებზე.

ვიმეორებ, არც ერთ თავისუფლებისმოყვარე და თავმოყვარე ერში ეროვნული შეურაცხყოფის ფაქტები უკვალოდ არ ქრება.

ამიტომ თვითონ რუსეთისთვის დღესაც აქტუალურია ჩერნიშევსკის გოგოლისადმი მიწერილ წერილში დასმული პრობლემები: რუსი ხალხი კი არ უნდა გააბრიყვო და გააყეყეჩო სხვა ხალხებთან შედარებით თავისი მოჩვენებითი უპირატესობების ქადაგებებით, არამედ მას უნდა დაანახო ის უარყოფითი, დასაგმობი მხარეები, რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქვსო. თუმცა, ვინც ამ გზით რუსეთის გაკეთილშობილებას შეეცადა, ისინი „მშრომელი ხალხის სახელით" დაგმო და შეაჩვენა ხელისუფლებამ. ა. სოლჟენიცინი, მართლაცდა გაბედული აზრის გამოთქმისთვის, — ომებში გამარჯვებას რუსეთის ხელისუფლება ხალხის კიდევ უფრო მეტად დამონებისთვის იყენებდა, ხოლო დამარცხების შემდეგ იძულებული იყო, დათმობებზე წასულიყოო, — კინაღამ ჯვარს აცვეს.

არადა, ეს მოსაზრება რეალობის ამსახველია: ყირიმის ომში დამარცხების შემდეგ, ხელისუფლება იძულებული გახდა, ბატონყმობა გაეუქმებინა და სხვა რეფორმებიც განეხორციელებინა. იაპონიასთან 1904-05 წწ. ომში დამარცხების შემდეგაც მთავრობამ ზოგი რამ ხალხს დაუთმო. ასე რომ, რუსეთის არმია არც ისე ძლიერია, როგორც ამას წლების განმავლობაში ჩაგვჩიჩინებდნენ. დიდ სახელმწიფოებთან არც ერთი ომი სხვა სახლემწიფოთა დაუხმარებლად, ერთი ერთზე, რუსეთს არ მოუგია.

**ვაჟა თვალავაძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

**(დასასრული იქნება)**

## ◎ ინფორმაცია



### გამოაქვეყნა სრული ანგარიში

**8 სექტემბერს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა თომას ჰამარბერგმა სამხრეთ ოსეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით სრული წერილობითი ანგარიში გამოაქვეყნა.**

**„სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული პრინციპები სერიოზულად დაირღვა. ეს არის ჰუმანიტარული კატასტროფა", — აცხადებს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი კონფლიქტის ზონებში, ასევე, თბილისსა და მოსკოვში 8-დღიანი მისიის შემდეგ.**

**კომისარმა წარმოადგინა ექვსი პრინციპი ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული უსაფრთხოების გადაუდებლად დასაცავად, ესენია: დევნილთა დაბრუნება; მათთვის სათანადო საცხოვრებელი პირობების შექმნა; ომის მიერ მოცული სივრცის განნაღმვა; მაროდიორობას, სახლების გადაწვასა და ფიზიკურ თავდასხმებში მონაწილეთა გასამართლება; ტყვეების დაცულობა და მათი ურთიერთგაცვლა; კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო კონტინგენტის გაგზავნა.**

### ისრაელი მაქსიმალურად დაგვეხმარება

**ისრაელი საქართველოს მაქსიმალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დახმარებას გაუწევს, — განაცხადა ისრაელის ქნესეთის (პარლამენტის) წევრმა აბრამ მიხაელმა ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანთან შეხვედრის შემდეგ.**

**აბრამ მიხაელის თქმით, დელეგაციის ჩამოსვლის მიზანი ქვეყანაში არსებული ყველა მტკივნეული საკითხის განხილვაა, რათა ისრაელმა საქართველოს მაქსიმალური ეკონომიკური და პოლიტიკური დახმარება აღმოუჩინოს.**

**მანვე აღნიშნა, რომ საქართველოში გამართული შეხვედრების შემდეგ დელეგაცია ისრაელის მთავრობასა და პარლამენტს მიაწვდის ინფორმაციას.**



**აბრამ მიხაელმა განაცხადა, რომ ორი ქვეყნის პარლამენტები კომისიების დონეზე უფრო აქტიურად და მჭიდროდ იმუშავებენ, რათა ისრაელმა, რომელსაც მსგავს ვითარებაში დიდი გამოცდილება აქვს, საქართველოს გამოცდილება გაუზიაროს.**

### სერგეი ბაღაფშმა უარყო

**სერგეი ბაღაფშმა უარყო ინფორმაცია, რომ არ აპირებს, „მწვანე შუქი" აუნთოს რუსული სამხედრო ბაზების განთავსებას აფხაზეთში, — იუწყება რადიო „ეხო მოსკვი".**

**— მე მივეცი ინტერვიუ, სადაც დამისვეს კითხვა, აშენდება თუ არა ახალი სამხედრო ობიექტები რესპუბლიკაში, მაშინ მე ასე ვუპასუხე — ახლის მშენებლობას არ ვაპირებ, ხოლო ძველებს ყველას აღვადგენ. აი, საიდან წამოვიდა ინფორმაცია, თითქოს აფხაზეთის პრეზიდენტი რესპუბლიკაში რუსეთის ჯარების ყოფნის წინააღმდეგია. ყველაფერი პირიქით არის, — აღნიშნა ბაღაფშმა.**

**როგორც ბაღაფშმა განაცხადა, პირადად ითხოვა, რომ რუსული ჯარები აფხაზეთში მდგარიყვნენ. „ისინი იქ იდგებიან", —განაცხადა ე.წ. პრეზიდენტმა.**

**ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი**

◉ ვითარება

# რამდენად მიიჩნევს „მაკფოლდი“ „მოსკოვს“ საკუთარი ინტერესების ხელმყოფად?



## ნატოს სამხედრო არმადა შავ ზღვაში

**საქართველოსთან კონფლიქტის დაწყებისთანავე, რუსეთის სამხედრო სარდლობისა და სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო შავ ზღვაში ჩრდილო-ატლანტიკური კავშირის აქტიურობამ. იგი კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ბუშმა საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის პროგრამის დაწყება გამოაცხადა.**

როგორც ცნობილია, თვით რუსეთის შავი ზღვის ფლოტი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაში. კერძოდ, დიდი სადესანტო ხომალდებით ოჩამჩირეში გადმოსხეს მრავალრიცხოვანი დესანტი, ხოლო სარაკეტო კრეისერი „მოსკოვი“ ფრთოსანი რაკეტებით ბომბავდა კოდორის ხეობას. იგივე ემუქრებოდა ზუგდიდს, თუ ქართული შენაერთები რუს მედესანტეებს (სხვათა შორის, აფხაზებთან ერთადძ უბრძოლველად არ გაატარებდნენ სენაკის ბაზისკენ — ამ ბაზის გასაძარცვად.

ტრადიციულად, კრემლი შავ ზღვას საკუთარ „ტბად“ აღიქვამდა და ეს აღქმა საბჭოთა პერიოდშიც არც თუ ისე შორს იყო სინამდვილისაგან, რადგან ერთადერთი შავიზღვისპირა ქვეყანა, რომელიც საბჭოთა ბლოკში არ შედიოდა, იყო თურქეთი. გარდა ამისა, შავ ზღვაში სხვა სახელმწიფოთა გემების შემოსვლა გარკვეულწილად შეზღუდულია მონტრეს 1936 წლის უმნიშვნელოვანესი ხელშეკრულებით, რომელიც არეგულირებს მშვიდობიანობის პერიოდში (!ძ ბოსფორის სრუტით ზღვაში შემოსული გემების დასაშვებ რაოდენობასა და ზღვრულ წყალწყვას.

იგულისხმება, რომ თურქეთს არა აქვს უფლება, ბოსფორის სრუტეში გაატაროს იმდენი სამხედრო გემი, რომ ქმათი ჯამური წყალწყვა აღემატებოდეს 45 ათას ტონას. ეს არც თუ ისე დიდი ოდენობაა სამხედრო გემებისთვის. ერთი ამერიკული ავიამზიდიც კი გადაფარავს ამ ლიმიტს. თანაც, იმავე მონტრეს კონვენციით, უცხო ქვეყნის სამხედრო გემებს უფლება აქვთ, შავ ზღვაში იმყოფებოდნენ მხოლოდ 21 დღის განმავლობაში, შემდეგ კი ბოსფორის სრუტით უნდა დატოვონ ზღვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი აქყოფნა მონტრეს საერთაშორისო კონვენციის („შავი ზღვის სრუტეთა სტატუსის შესახებ“ძ დარღვევად ჩაითვლება და რუსეთს ექნება უფლება, საერთაშორისო სამართლის იგნორირებაში დაადანაშაულოს არა მხოლოდ ნატო, არამედ თურქეთიც.

საქართველოს ოკუპაციის პროცესში, თურქეთთან ამ თვალსაზრისით ურთიერთმოქმედებამ რუსეთისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მოსკოვში პრემიერ ერდოღანის ვიზიტისას, კრემლმა ანკარას ძალიან (მეტისმეტადძ მძიმე ულტიმატუმი წაუყენა: არ შემოეშვა შავ ზღვაში ნატოს გემები იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი საერთო წყალწყვა და ყოფნის ვადა მონტრეს კონვენციას არ არღვევდა, ანუ ბოსფორის სრუტეში მათი გავლა სრულიად კანონიერი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთი თურქეთს მკაცრი ეკონომიკური სანქციებით და ურთიერთობათა გაფუჭებით დაემუქრა. რამდენიმე სხვადასხვა მოსაზრების გამო, თურქეთმა თავდაპირველად თანხმობა განაცხადა და ამერიკელებს უარი უთხრა გემების გატარებაზე. თანაც იმ პირობებში, როცა ნატო შავ ზღვაში ერთი წლის წინათ დაგეგმილ მანევრებს ატარებდა და თუნდაც ამიტომ ბოსფორის სრუტეში გავლა სრულებით კანონიერი იქნებოდა.

მაგრამ ამ უარმა ვაშინგტონში იმდენად მწვავე რეაქცია გამოიწვია (თურქეთი ხომ ნატოს წევრი და რეგიონში ამერიკის სტრატეგიული მოკავშირეა!ძ რომ ანკარას არასასურველი არჩევანის გაკეთება მოუწია.

შედეგად „მაკფოლი“ და „დალასი“ ბათუმის ნაპირებს მოადგნენ, ხოლო განრისხებულმა რუსეთმა თურქ ბიზნესმენებს საზღვარი ჩაუკეტა და ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტითაც დაემუქრა. იმავდროულად, რუსეთის რამდენიმე ტელევიზიამ ერთბაშად „დასცხო“, რომ ანტალიაში დასვენება საშიშია და არაკომფორტული. პასუხად თურქეთმაც ჩაკეტა საზღვარი რუსული პროდუქციისთვის, რის შედეგადაც ეკონომიკური ომი ორ რეგიონულ „ზესახელმწიფოს“ შორის ახალ სტადიაში გადავიდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს „ცივი რეგიონული ომი“ მხოლოდ ახლა იწყება და არავინ იცის, კიდევ რაში გამოიხატება ურთიერთსანქციათა „დომინოს პრინციპით“.

საინტერესოა, რომ 3000 კმ მოქმედების რადიუსის მქონე „ტომაჰავკის“ ფრთოსანი რაკეტებით შეიარაღებული ამერიკული ხომალდი „მაკფოლი“ ბათუმიდან სევასტოპოლში შევიდა უკრაინის ხელისუფლების მიწვევით, რამაც რუსეთში ბევრად უფრო დიდი აღშფოთება გამოიწვია, ვიდრე საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მისმა ყოფნამ.

ამჟამად შავ ზღვაში იმყოფება ნატოს 10 სამხედრო ხომალდი. მათ შორის ამერიკული „მაკფოლი“, ესპანური „ადმირალ ხუან დე ბორბონი“, პოლონური „გენერალ ზკულასკი“ და გერმანული „ლიუბეკი“. აგრეთვე ექვსი შედარებით პატარა სამხედრო გემი.

შავი ზღვის კვალობაზე ეს არ არის ცოტა, თუმცა სამხედრო თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, არასაკმარისია, რადგან შავი ზღვის ფლოტის გარდა რუსეთს ამ რეგიონში სანაპირო დაცვის თვითმფრინავებით და ხმელეთზე ბაზირებული საშუალო სიშორის რაკეტებითაც შეუძლია იმოქმედოს.

ხსენებული საზღვაო დაჯგუფება, ნატოს განმარტებით, რეგიონში იმყოფება ბულგარეთისა და რუმინეთის სანაპიროებთან ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ დაგეგმილ მანევრებში მონაწილეობის მისაღებად; თუმცა სპეციალისტებმა იციან, რომ ელემენტარული სამხედრო დაგეგმარების შესაბამისად, ნებისმიერ რეგიონში სამხედრო მანევრები ისეთნაირად იგეგმება, რომ იქ ყოველთვის იყოს სამხედრო ყოფნის ზრდისა და გამართლების საშუალება. ეს კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ ნატოს უმაღლესი კვალიფიკაციის სამხედრო სტარტეგოსები დიდი ხნის წინათ ვარაუდობდნენ შავი ზღვის აუზში ვითარების დაძაბვას.

რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ყოფილმა სარდალმა, ადმირალმა იგორ კასატონოვმა განაცხადა, რომ ამჟამად შავ ზღვაში ფლოტის შენარჩუნებისთვის ნატოს ერთადერთი საშუალება აქვს: ცვალოს ეს გემები ყოველ 21 დღეში ისეთნაირად, რომ მათი საერთო წყალწყვა ჯამში 45 ათას ტონას არასდროს აღემატებოდეს.

მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ფორმალურად დაცული „მონტრეს“ კონვენცია.

თუმცა კასატონოვს დაავიწყდა., რომ მონტრეს კონვენცია მშვიდობიან პერიოდს ეხება, ხოლო თუ „ნატომ“ რუსეთი აგრესორად გამოაცხადა, მაშინ უკვე სულ სხვა რეჟიმები იმუშავებს მსოფლიოში; მათ შორის შავი ზღვის აუზსა და ბოსფორის ყურეში.

დასავლეთმა (ჯერ ინგლისმა, საფრანგეთმა და შემდეგ ამერიკამძ საუკუნეთა განმავლობაში იმიტომ კი არ ღვარა სისხლი ამ ყურეებზე კონტროლისთვის, რომ საჭიროებისას თავისი ინტერესების დაცვა და განხორციელება ვერ შეძლოს. ანუ მთავარი საკითხი ის არის, რეალურად რამდენად მიიჩნევს იგი საქართველოს პრობლემას საკუთარი ინტერესების ხელყოფად.

**ნიკა ვაშაკიძე,**

**ХИ-ЭИБ-ЭНИ**

◉ ვარაუდი

# პოლიტიკის „გაყოფის“ დროც დადგა

(მეხუთე გვერდიდან)

როგორც ჩანს, ოპოზიცია, ყოველი შემთხვევისთვის, თანამშრომლობას კონფრონტაციას არჩევს. რა იცი, რა ხდება... რადგან ლევან გაჩეჩილაძის ინიციატივა ანტიკრიზისული საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც კოტა დავითაშვილის მოთხოვნით, ქარტიაშიც ჩაიწერა, უსუფაშვილმა დაიწუნა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთიანი პოზიცია არასაპარლამენტო ოპოზიციაში არ არის. ან თავად უსუფაშვილს აქვს გარკვეული „შეუთავსებლობა“ გაჩეჩილაძესთან. მან ხომ სულ ერთი ხმით აჯობა უსუფაშვილს და დეკემბერში ოპოზიციის მხრიდან პრეზიდენტობის ერთიანი კანდიდატი გახდა. თავის მხრივ, პოლიტიკაში დაბრუნების სურვილი ღიად დააფიქსირა ნინო ბურჯანაძემაც. უკვე დიდი ხანია პოლიტიკურ თამაშებში ახლების ლიდერი დავით გამყრელიძეც ჩართულია. სამივე მათგანს მემარჯვენე იდეები აერთიანებს. არ არის გამორიცხული, რომ პოლიტიკური დიალოგი მათ შორის დაიწყოს. მათ, ალბათ, კონსერვატორებიც შეუერთდებიან. თუმცა, დიალოგი გაერთიანებას არ ნიშნავს, აქ ყველაფერი ლიდერზე იქნება დამოკიდებული, ანუ ვინ ვის აღიარებს და მიიღებს ლიდერად...

ახლებს შეიძლება ნაკლებად, მაგრამ ლიდერის მოძებნას რესპუბლიკელებს ყოველთვის ურჩევდნენ. არჩევნებში მათი მარცხის უმთავრესი მიზეზიც სწორედ „უთავობა“ გახდა. ასე რომ, არ არის გამორიცხული, ნინო ბურჯანაძე რესპუბლიკელებმა ლიდერის როლში მიიღონ. დავით გამყრელიძეს საკუთარი თავისა და პარტიის იმედი აქვს. ასე იყო ყოველთვის. შესაძლოა, ახლების ლიდერს რწმენა ბოლო საპარლამენტო არჩევნებმაც გაუმტკიცა. დავით გამყრელიძემ მაჟორიტარული რინგი მოიგო, ლევან გაჩეჩილაძემ კი — წააგო...

გაურკვეველი რჩება სალომე ზურაბიშვილის პოზიცია. ის ხან აკრიტიკებს ხელისუფლებას და ხან პროცესებში ჩართვას სთხოვს. მას შემდეგ, რაც ბურჯანაძემ ხელისუფლება დატოვა (რომელსაც მან ქაჯიც კი უწოდაძ, ზურაბიშვილისთვის სააკაშვილის მთავრობა მისაღები უნდა იყოს. საკუთარი კანდიდატურა ყოფილ თანაგუნდელებს შესთავაზა კიდეც. მიუხედავად ამისა, ქარტიას ხელი მაინც არ მოაწერა. შესაძლოა, ვერტიკალიდან პასუხს ელოდება...

ასეა თუ ისე, ვარდების რევოლუციის შემდეგ ოპოზიციამ რამდენჯერმე სცადა მეორე პოლიტიკური ცენტრის შექმნა, ბოლოს სწორედ ნოემბერში. მაშინ ოპოზიციის მთავარი სულისჩამდგმელი ბადრი პატარკაციშვილი გახლდათ. არ არის გამორიცხული, ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრის შექმნა არასაპარლამენტო ოპოზიციამ ახლა კიდევ ერთხელ სცადოს. შესაძლოა, სწორედ ამიტომ არ მოაწერეს მათ ხელი ქარტიას.

ოპოზიციაში ვადამდელი არჩევნების მოლოდინია და როგორც ჩანს, მზადებაც დაიწყო... თუმცა, ხელისუფლებაში ასეთ შესაძლებლობას გამორიცხავენ.

**ქეთი ხატიაშვილი,**

**ХИ-ЭИБ-ЭНИ**

***P. S.* *ტერიტორიების „მითვისების“ შემდეგ, თავის მხრივ, რუსეთიც შეეცდება ვადამდელ არჩევნებში მისთვის მისაღები ფიგურების მოძებნას და „დალობირებას“. რა გასაკვირია — მოსკოვმა თბილისში ტანკებით შემოსვლა ვერ შეძლო, ამიტომაც საქართველოს პარლამენტში პოლიტიკური გავლენების მოპოვებისთვის იბრძოლოს. მისთვის უკრაინული მოდელია ხელსაყრელი. რადას ნახევარს (შეიძლება ითქვას) დასავლეთი აკონტროლებს, ნახევარს — რუსეთი. ამიტომაც ყოველთვის, როცა მნიშვნელოვანი მომენტი დგება, არც პოლიტიკური კრიზისი აყოვნებს და უკვე მერამდენედ ნატოში გაწევრებისა და ევროპასთან ინტეგრაციის ფონზე კიევში პოლიტიკური აყალმაყალი იწყება. ახლაც, როგორც კი კიევისა და თბილისისთვის მაპ-ის მიცემასა და ამერიკულ დამხარებაზე დაიწყო საუბარი, კრიზისმაც არ დააყოვნა. ვადამდელი არჩევნებისთვის უკრაინაშიც ემზადებიან.***

***ქ. ხ.***

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# პუტინი აპირებს, გააჯავროს აშშ ირანისთვის ბირთვულ სფეროში დახმარების გაწევით



**ამერიკის მოწოდების – გაფართოვდეს ნატო აღმოსავლეთში – და საქართველოსთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით, შავ ზღვაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემების შესვლის პასუხად, რუსეთი განიხილავს საკითხს ირანისთვის ხელშეწყობის გაფართოების შესახებ მისი ბირთვული პროგრამის რეალიზაციაში.**

რუსეთის არმიის სარდლობასთან დაახლოებული წყაროების ცნობით, მოსკოვში აპირებენ, რომ გაგზავნონ თეირანში რუსეთის ბირთვული იარაღის სპეციალისტები, ხოლო ირანელი მეცნიერები მოიწვიონ მოსკოვში სტაჟირებისთვის.

მოსკოვი გააბრაზა ვაშინგტონის დაპირებამ, გამოუყოს საქართველოს 564 მილიონი გირვანქა სტერლინგი დახმარების სახით. აგვისტოში თბილისში განხორციელებული სამხედრო ოპერაციის შემდეგ რუსეთი შეიჭრა საქართველოს ცალკეულ რეგიონებში. კრემლის ჩინოვნიკები ეჭვობენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ გადაიარაღონ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, ხოლო საქართველოსა და უკრაინის მხარდაჭერა ნატოში შესვლისათვის მათთვის მეტად გამაღიზიანებელი აღმოჩნდა.

გასულ კვირას შავი ზღვის აკვატორიაში შევიდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო საზღვაო ფლოტის მესამე გემი საქართველოსთვის ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად. მოსკოვმა ბრალდება წაუყენა ამერიკელებს იმაში, რომ გემები გამოიყენება იარაღის მისაწოდებლად, მაგრამ მსგავსი დამადასტურებელი საბუთები არ იქნა წარმოდგენილი.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა, რომელიც ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა გახდა ამ კრიზისა, განაცხადა, რომ მიიღებს საპასუხო ზომებს, თუმცა, კერძოდ, არ დაუზუსტებია.

„ომის შემდეგ საქართველოში ყველაფერი შეიცვალა, – აცხადებს ერთ-ერთი წყარო. – ის, რაც ადრე შეუძლებელი ჩანდა, ახლა შესაძლებელზე მეტიცაა: მეგობრები გადაიქცნენ მტრებად, მტრები კი – მეგობრებად. რა უნდათ ამერიკის გემებს ჩვენს სანაპიროებზე? განა რუსეთის გემები ცურავენ ამერიკის სანაპიროზე? რუსეთი პასუხს გასცემს. განიხილება რამდენიმე შესაძლებლობა, მათ შორის – ფეხი დააჭირონ ამერიკის საყვარელ კოჟრს – ირანს“.

ირანისთვის ხელშეწყობის გაფართოება ბირთვულ სფეროში იწვევს დაპირისპირების მკვეთრ ესკალაციას მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში რუსეთი ეხმარება ირანს ბუშერაში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაში. ირანი ამტკიცებს, რომ ობიექტს სამოქალაქო დანიშნულება აქვს. მოსკოვი (ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად) ამას აღიარებს. დასავლეთში თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ პროექტის საბოლოო მიზანი – ეს არის ბირთვული ბომბის შექმნა.

მაგრამ, დიპლომატების სიტყვით, ბუშერაში ობიექტის მშენებლობაში დახმარების მიუხედავად, მოსკოვი დღემდე ასრულებდა თეირანის ხელისუფლებასა და დასავლეთს შორის შუამავლის კონსტრუქტიულ ფუნქციას, თანაც იცავდა გაეროს სანქციას.

მიმდინარე წლის დასაწყისში თავის ერთ-ერთ ბოლო საპრეზიდენტო გადაწყვეტილებაში პუტინმა რუსეთის ფედერაციის სახელით მოიწონა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ირანის მიმართ ახალი სანქციების შესახებ.

ეს დოკუმენტი კრძალავს ირანში ორმაგი დანიშნულების ბირთვული ტექნოლოგიის ექსპორტს, რაც შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც მშვიდობიანი მიზნით, ისე რაკეტების წარმოებისათვის (ბუშერაში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტისათვის დაშვებული იქნა გამონაკლისი).

„საქართველოში ომის შედეგებით ძნელია წარმოიდგინო, რომ ურთიერთობა რუსეთსა და ამერიკას შორის კიდევ უფრო გაუარესდეს, – განაცხადა ერთ-ერთმა დასავლელმა დიპლომატმა. – მაგრამ თუ რუსეთი გააძლიერებს თავის დახმარებას ირანისათვის ბირთვულ სფეროში, ეს გამოიწვევს დიდ გართულებებს“.

აგვისტოში რუსეთმა დადო ხელშეკრულება სირიაში რაკეტების მიწოდების შესახებ. „ქორები ნამდვილად მეტად აგრესიულად არიან განწყობილი“, – აღნიშნა ერთ-ერთმა თანამოსაუბრემ, რომელმაც გამორიცხა ისიც, რომ რუსეთი განაახლებს სამხედრო მოქმედებას საქართველოში, რათა დაეუფლოს ბათუმის ნავსადგურს, სადაც ამერიკელ გემებს შემოაქვთ ჰუმანიტარული დახმარება.

მკაცრი კურსის მომხრეები გაალიზიანა ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის დიკ ჩეინის დემარშმა, რომელიც გასულ კვირას ეწვია საქართველოს. „საქართველო გახდება ჩვენი ალიანსის წევრი“, – თქვა მან. ჩეინიმ იმოგზაურა აგრეთვე უკრაინაში, რომლის სწრაფვამაც ნატოსკენ შეიძლება გახადოს ეს ქვეყანა რუსეთსა და ამერიკას შორის ახალი კონფლიქტის ადგილად.

სხვათა შორის, უკრაინის დედაქალაქ კიევში, როგორც ჩანს, მოვლენები ვითარდება ისე, რომელიც ხელს აძლევს მოსკოვს. ქვეყანაში გაჩაღებული კრიზისის გამო, რომელიც შეიძლება დამთავრდეს პრეზიდენტის იმპიჩმენტით, რომელიც დასავლეთზეა ორიენტირებული, ვიქტორ იუშჩენკო იძულებულია იბრძოლოს თავისი უფლებამოსილებისთვის.

„მეცინება, როდესაც დასავლეთში გაისმის მტკიცებანი, რომ რუსეთი ამ კრიზისში წაგებული მხარეა, – აღნიშნა პუტინის ყოფილმა თანაშემწემ. – რას იზამდნენ ვაშინგტონში, ჩვენ რომ დაგვეწყო კუბის შეიარაღება ისევე, როგორც ამერიკელები აიარაღებენ საქართველოს? უკან დარჩა ის პოსტსაბჭოთა დღეები, როდესაც შეეძლოთ ჩვენთვის სარმის დადება“.

**მარკ ფრანკეტი**

THE TIMES

# მტანჯველი გაღვიძება

**ევროპელი ლიდერები ფიქრობდნენ, რომ ეკონომიკური განვითარება გადააქცევდა რუსეთს უფრო ევროპულად.** ახლა ისინი უკვე ასე აღარ ფიქრობენ. ევროკავშირის რეზოლუციის კრიტიკა, რომელიც განსაკუთრებული რბილი ფორმულირებებით გამოირჩევა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებით (ევროკავშირმა რუსეთისაგან მოითხოვა ჯარების გამოყვანა საქართველოდან, მაგრამ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის კონკრეტული შედეგები არ მიუთითა), აღმოჩნდა ისეთივე მძაფრი, როგორიც სავარაუდო. „ევროპა კვლავაც დაიწყებს ჩვენგან ნავთობისა და გაზის გამოწოვას“, – ასეთი დამამცირებელი სათაურით გამოვიდა მოსკოვის ტაბლოიდი „ტვოი დენ“. დასავლელი კომენტატორები ანალოგიას ავლებენ ევროპულ რეზოლუციასა და რობინ უილიამსის პაროდიას შორის უიარაღო ბრიტანელ პოლიციელებზე: „იდექით ადგილზე! თორემ... კიდევ ერთხელ გავიმეორებ!“.

კიდევ ერთხელ მთელი მტანჯველი სიცხადით გამოვლინდა ევროპის უუნარობა, იქონიოს ერთიანი კურსი საგარეო პოლიტიკაში. ერთადერთი ზომა, რის შესახებაც შეეძლო შეთანხმება ბრიუსელის საგანგებო სამიტზე 27 ევროპული ქვეყნის ლიდერს, – ეს არის მოლაპარაკების შეწყვეტა „რუსეთ-ევროკავშირის“ ჰიპოტეტური შეთანხმების შესახებ, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს კომერციული ვიზების გაცემის საკითხი. მეტად სიმბოლურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მოლაპარაკება ისედაც მიყუჩდა წელიწადზე მეტია. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო იყო იმისათვის თვალყურის დევნება, თუ ევროკავშირის წევრები სხდომაზე როგორ ძალიან ემგვანებოდნენ თავიანთ თავს 2003 წლის ევროკავშირის საგანგებო სამიტზე, როდესაც განხეთქილების გამო ერაყში ომთან დაკავშირებით გაჩაღდა ყველაზე ღრმა ევროპოლიტიკური კრიზისი ევროკავშირის ისტორიაში. ამჯერად მათ ერთსულოვნად გადაწყვიტეს, რომ არსებობს წითელი ხაზი, რომელიც რუსეთმა საქართველოში შეჭრით და ორი მისი რეგიონის დამოუკიდებლობის ცალმხრივად აღიარებით გადალახა.

უფრო მეტიც, მკაცრი რეაქციის უქონლობა მეტყველებს არა იმდენად გათიშულობაზე, რამდენადაც გულგრილ რეალიზმზე. „უახლოეს პერსპექტივაში ევროპას პრაქტიკულად არ გააჩნია ზემოქმედების ბერკეტები“, – მიაჩნია გერმანიის საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს ექსპერტს იან ტეხაუს. საქართველოსთვის ბირთვული სახელმწიფოების ბრძოლა? დაივიწყეთ ამის შესახებ. სავაჭრო სანქციები მტკივნეულად აისახებოდა თავად ევროპაზე – მათი მოქალაქეების 25 პროცენტი სარგებლობს რუსეთიდან მიწოდებული ნავთობითა და გაზით, ხოლო მისი კომპანიებისათვის რუსეთი ინვესტიციების დიდი წყაროა. რუსეთის დაშინება, ალბათ, მიგვიყვანდა რუსეთის პოლიტიკის გამკაცრებამდე. ევროპამ კიდეც რომ მოინდომოს უფრო მკაცრი კურსის გამოყენება, ამბობს ტეხაუ, დღეისათვის ჯერ კიდევ არ დაწყებულა იმ ღონისძიებათა რეალიზება, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემდა უფრო აგრესიულ რუსეთთან არსებობას. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ევროპას ერჩია, ეცხოვრა მშვიდ კონცეფციაზე, რომ რუსეთის ეკონომიკური ინტეგრაცია დააყენებს მას „რბილი ძალის“ გამოყენებისადმი შეგუების გზაზე და მიიყვანს კომპრომისულ გადაწყვეტილებებამდე პოსტკონფლიქტურ ევროპასთან დაკავშირებით.

რუსეთ-საქართველოს ომმა დაანგრია ეს ილუზია. „საქართველოს მოვლენები გვიჩვენებს, რომ შეიარაღებული კონფლიქტი ევროპაში არცთუ ისე ნაკლებ სავარაუდოა, როგორც ეს ამ ცოტა ხნის წინათ გვეჩვენებოდა“, – ამბობს კლაუს რაინჰარდტი, ბუნდესვერის გადამდგარი გენერალი და ნატოს ძალების ყოფილი სარდალი. ევროპის გაბედულების ჭეშმარიტი მაჩვენებელი არის ის, თუ როგორ აპირებს იგი მოიქცეს, თუ იქნება მსგავსი დაშინებანი მომავალში. დასაწყისისათვის საჭიროა დავსვათ უსიამოვნო შეკითხვა: როგორი იქნება ევროკავშირის რეაქცია, თუ საფრთხე დაემუქრება ერთ-ერთ მის წევრს. ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში (მათ შორის ესტონეთსა და ლატვიაში) ჩამოყალიბდა დიდი რუსული უმცირესობანი, რომელთა წარმომადგენლების დასაცავადაც მოსკოვი, როგორც ორი კვირის წინათ ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა აღნიშნა, უფლებამოსილია. ამას გარდა, საჭირო იქნებოდა სიტყვიდან გადასულიყავით საქმეზე იმასთან დაკავშირებით, რაც შეეხება ევროპის მზარდ დამოკიდებულებას რუსულ ენერგოშემცველებზე: დაიწყოს ძიება ახალი მიმწოდებლებისა, ააგოს ახალი მილსადენები, დანერგოს სათბობის ალტერნატიული სახეობები და ბირთვული ენერგეტიკა, – და სერიოზულად დაიწყოს ევროპის ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბება, რომლის ფარგლებშიც რუსეთს გაუჭირდებოდა, შეაჯახოს ერთმანეთს ევროპის ქვეყნები. და კარგი იქნებოდა, ბოლოს და ბოლოს, დაგვეწყო გაყინული კონფლიქტების გადაწყვეტა. არ არის გამორიცხული, რომ მოსკოვი შეეცადოს გაითამაშოს, მაგალითად, სომხური ან მოლდოვური სიტუაციაც.

ეს ყველაფერი შესაძლებელია იმ პირობით, თუ ევროკავშირი გამოავლენდა ნებისყოფას ამისათვის. მიუხედავად ბუნდესკანცლერის ანგელა მერკელის მაქოური დიპლომატიისა, რომლის წყალობითაც გასულ კვირას შესაძლებელი გახდა ბლოკის ერთიანობის უზრუნველყოფა, სუსტი რგოლი შეიძლება აღმოჩნდეს სწორედ გერმანია. ეს ქვეყანა ტრადიციულად აგებს ურთიერთობას რუსეთთან საკმაოდ სპეციფიკური სახით, ხოლო ხალხში არსებობს ტენდენცია იმისა, რომ რუსეთთან ნებისმიერი უსიამოვნების გამო შეიძლება ბრალი დავდოთ ამერიკას (და მის ბოროტ მოკავშირეებს საქართველოსა და პოლონეთის სახით). უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში რუსი დიპლომატები და ლობისტები, მათ შორის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილი კანცლერი გერჰარდ შრიოდერი, როგორც ეტყობა, გადადიან პროპაგანდისტულ შეტევაზე, რათა საზოგადოებაში შექმნან ევროკავშირის მკაცრი რეაქციის წინააღმდეგობა. პრორუსულ სოციალ-დემოკრატებსა და მერკელის უფრო რადიკალური განწყობილების ქრისტიან დემოკრატებს შორის წარმოჩენილი განხეთქილება, გარდა ყოველივე სხვა რამისა, იმუქრება გადააქციოს რუსეთთან დამოკიდებულების პოლიტიკა გაისისათვის დანიშნული საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთ ელემენტად.

სხვათა შორის, დღემდე რუსეთის მოქმედებამ გამოიწვია ევროპის მხოლოდ უმნიშვნელო შეკავშირება. ევროკავშირის ლიდერებს, როგორც ჩანს, ძალიან სურთ, თავიდან აიცილონ სკანდალები, რომლებმაც მათ არ მისცეს საშუალება, მისულიყვნენ ერთიან პოზიციაზე ერაყის საკითხთან დაკავშირებით – ან თუკი ასე წავა საქმე, ყოფილ იუგოსლავიასთან დაკავშირებით – კიდევ ერთ-ერთ კონფლიქტურ ზონასთან, რომლის გამოც 1990-იან წლებში დაიმსხვრა ევროპის ილუზია, თითქოს იგი ზესახელმწიფოა, რომელიც ემყარება „რბილ ძალას“. ამჟამად, როგორც ჩანს, პოლიტიკოსები სულ უფრო და უფრო იხრებიან იმ აზრისკენ, რომ რუსეთი მომავალში გახდება სულ უფრო უხერხული მეზობელი. გახდება თუ არა ეს ევროკავშირისათვის სტიმული იმისა, რომ შეიმუშაოს ერთიანი სტრატეგია და ნამდვილად საგარეოპოლიტიკური კურსი, დრო გვიჩვენებს.

**სტეპან ტეილი**

Newsweek

გენი



# სხვა ბიჭი – წინაპრის ნატეხი

**საინტერესო პიროვნება და გულანთებული მამულიშვილია მიხეილ გიჟიმყრელი – შეიძლება ითქვას, XX საუკუნის ქართული თეატრის ცოცხალი ისტორია, – უკვე ხნიერი, თუმცა, მაინც მხნე და ხვალინდელი დღის მოიმედე.**

მირეკავს გუშინწინ ბატონი მიშა და სალამ-ქალამის შემდეგ მეუბნება, ხვალ რედაქციაში 16 წლის ყმაწვილს გაახლებთ, რომელიც ასაკოვანი ქართველი კაცივით ჩაუფიქრებია სამშობლოს წარსულსა და დღევანდელობას, ლექსებიც აქვს მიძღვნილი საქართველოს ამჟამინდელი მდგომარეობისთვისო...

ბატონ მიშას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ, სულო ცოდვილო, გავიფიქრე, ვინმე ნაცნობი „გიჟპოეტა“ ეყოლება და ლექსის დასაბეჭდად რეკომენდაციას უწევს-მეთქი. რა მადლობელი ვარ ღმერთის, რომ მწარედ მოვტყუვდი და გავიცანი, დამიჯერეთ, არა დღევანდელი „თინეიჯერი“, უმეტესწილად რომ როკ და პოპ-მუსიკაზე აქვს თვალები მინაბული და სხვა „საკაიფო“ სამყაროშია გადავარდნილი, არამედ ჩვენი სათაყვანო მეცნიერების ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო ბერძენიშვილის ისტორიის ნარკვევების შესანიშნავი მცოდნე ჭაბუკი ალეკო უჯმაჯურიძე, ოქროსფერთმიანი, ცისფერთვალება, თითქოს, დღევანდელ არეულ-დარეულ საქართველოში წინაპრებისგან გამოგზავნილი...

**– მაინც, ვინ შეგაყვარა ასე ჩვენი ისტორია?...**

– ოჯახმა... უფრო-ბაბუამ – გიორგი გელაშვილმა, რომელიც სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის, – დინჯად, დიდი კაცივით მესაუბრება ალეკო.

**– და, რამ გაგიტაცა უმეტესად?**

– ბევრმა რამემ, უფრო, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ამბებმა... ძალზე დამაინტერესა ქართლის ერისთავის იოანე მარუშისძის პიროვნებამ, რომელიც, ბატონი ნიკო ბერძენიშვილის აზრით, გავლენიანი ფეოდალი ყოფილა. მარუშისძის სიდიადე ის არის, რომ, როგორც ფეოდალი, ტრადიციულად, კრიჭაში კი არ ედგა მეფეს, არამედ საქვეყნო საქმეზე ფიქრობდა. კერძოდ, ის ერთ-ერთი შემოქმედია ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნისა. თუმცა, მაინცდამაინც, დაფასებული არ არის. მისმა პიროვნებამ შთამაგონა პოემა „მარუშიანი“, რომელიც თან წამოვიღე,თუ გაეცნობით... თქვენი აზრი მაინტერესებს...

**– კიდევ ხომ არ გაქვს ლექსები?**

– კი, რამდენიმე... აგვისტოს ამბებმა დამაწერინა...

**– აბა, მანახე ერთი, ნუ გერიდება...**

კომპიუტერზე აკრეფილ ლექსს მაწვდის, ვამთავრებ კითხვას და აი, თქვენც გთავაზობთ ალეკოს ლექსს, ძვირფასო მკითხველო, ვფიქრობ, მოგეწონებათ.

### ნათელი ივერთ ჯარების

**წინაპართ ძვლები ჰყივიან,**
**ვერ ისვენებენ, შფოთავენ,**
**მაღლა, სამოთხის ბაღიდან**
**ჩვენს დროებაზე მოთქვამენ,**

**ზეცას შეუკრავთ პირობა,**
**მასწყურებიათ ბრძოლანი,**
**არწივთ შემყურე, განაღა,**
**იბოგინებენ ყორანნი.**

**ცის კარებს ვერღარა იჭერს,**
**მალე გატყდება კარიბჭე,**
**ხმალმომარჯვებულ ქართველსა**
**უკვე ვერღარა დაიჭერს.**

**ეს დროც სულ მალე**
**დადგება,**
**ცად გაიღება კარები,**
**იქიდან ბნელეთს დასთრგუნავს**
**ნათელი ივერთ ჯარების.**

**– თითქოს, დიდი ფშაველის გავლენა იგრძნობა...**

– რა გასაკვირია, ვაჟა-ფშაველა ჩემი უსაყვარლესი პოეტია... იოანე მარუშისძესთან ერთად ვაღმერთებ ზეზვა გაფრინდაულს...

**– შენს ტოლებს დღეს ცოტა სხვაგვარი გატაცებები აქვთ, ალეკო...**

– მეც, თითქოს, ჩვეულებრივად ვცხოვრობ, ოღონდ, ჩემი პრინციპები მაქვს, ვცდილობ, ეროვნული ტრადიციებით ვიარო... ბევრი მეგობარი „მოვაქციე“ ჩემს ჭკუაზე. ერთი ისე დაინტერესდა გიორგი სააკაძით, წიგნი მთხოვა, რომ საფუძვლიანად გასცნობოდა „დიდი მოურავის“ ცხოვრებას.

**– საინტერესო ბიბლიოთეკა გაქვს?**

– საკმაოდ...

**– რა თქმა უნდა, ისტორიულზე ჩააბარებ უმაღლესში...**



– ვნახოთ...

– თხუთმეტი წელია, რაც ერთმანეთის მეზობლები ვართ – მეუბნება ბატონი **მიშა გიჟიმყრელი,** – ნეტა იცოდეთ, რა ოჯახი აქვთ ალეკოს მშობლებს – ბიძინა უჯმაჯურიძეს და ლეილა გელაშვილს... ხმამაღალი სიტყვა არ გამიგონია მათგან... დიდი პატრიოტი ხალხია...

– ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ალეკოც ასეთი მდიდარი სულიერებით გამოირჩევა, მადლობელი ვარ, ბატონო მიშა ასეთი არაჩვეულებრივი ყმაწვილის გაცნობისთვის.

ძალიანაც რომ უნდოდეთ ზოგზოგებს, საქართველო არ გადაშენდება!

აპი, ყურადღება არ აკლიათო!



# სამშობლოდან დევნილმა „სამშობლოდან“ დევნილს უთხრა

**წელიწადზე მეტია ამ შენობაში აღარ შევსულვარ... არადა, რა მშობლიური იყო აქ ყველაფერი... შეიძლება ითქვას, რომ ამ ლიფტს, ამ კიბეებს, ამ სართულებს, აქ განთავსებულ გამომცემლობასა და რედაქციებს შევაბერდი – 1966 წლიდან (მაშინ ცეკას გამომცემლობა ერქვა) აგერ, ა, 2008 წლის 10 აგვისტომდე, სანამ სააკაშვილის ხელისუფლებას კიდევ ერთხელ არ „მოუვლიდა“ და აქედან, უკვე გამომცემლობა „სამშობლოდან“ არ გამოგვყრიდა ჟურნალისტებს...**

აღარ შევსულვარ...

გული აღარ მიმიწევდა...

გასაყიდად განწირული შენობა „ვარდოსნებმა“ ჯერჯერობით სარფიანად ვერ გაასაღეს, ამასობაში კი, მთავარი „ვარდოსნის“ „შორსმჭვრეტელური“ პოლიტიკის შედეგად, საქართველოს ცა რომ ჩამოიქცა, გავერანებულ შენობაში ცხინვალის რეგიონიდან, სამაჩაბლოდან და გორის რაიონიდან დევნილი მოსახლეობა დროებით შეასახლეს, მაგრამ მათ ხელისუფლების ყურადღება ნაღდად აკლდათ და ამის თაობაზე ჩვენ ვწერდით კიდეც „საქართველოს რესპუბლიკაში“, თუმცა მაშინ ეს უბედურები, სულ ორი-სამი დღის შესულები იყვნენ შენობაში და იმედს ვუტოვებდით, რომ აქ ელემენტარულ საცხოვრებელ პირობებს სასწრაფოდ მოაგვარებდა ქალაქის მერია და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო.

საქმეში ხართ?!

ამ კვირაში თვე გახდება, რაც დევნილები გამომცემლობის შენობაში შეასახლეს, ამასობაში, ზოგი უკვე დაუბრუნდა მშობლიურ ადგილებს, მაგრამ, ვინც დარჩა, ისევ ხელისუფლების უყურადღებობას უჩივის.

აი, ერთ-ერთი ცხინვალის რაიონიდანაა და იმედი აღარ აქვს, რომ ოდესმე დაუბრუნდება თავის სახლ-კარს.

– არადა, რა ვქნათ, – მეუბნება ახალგაზრდა კაცი (გვარს ნუ დაწერთო, მითხრა), რომელიც ცოლ-შვილით ცხოვრობს გამომცემლობის შენობაში და ახლა მორიდებით დამყვება მეოთხე სართულზე, სადაც ერთი წლის წინათ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია იყო განთავსებული, და, სადაც, შეიძლება ითქვას, მთელი ცხოვრება გავატარე... ოთახებში შესასვლელი ხის კარები, თითქმის ყველგან ჩამოხსნილია და სახელდახელოდ აუკრავთ ფანერები...

– დაგვირიგეს ლეიბები და ზეწრები, ათ დღეში ერთხელ მოაქვთ ძეხვი, მაკარონი, სხვადასხვა რამერუმეები, მაგრამ ელექტროქურები არა გვაქვს და ძალიან გვიჭირს სადილის მომზადება, მოგვიტანეს დაუტენავი გაზის ბალონები და ველოდებით, რომ გაავსებენ: არ მუშაობს, ჩაბინძურებულია ტუალეტი... ერთი სიტყვით, ეს არის ამათი ყურადღება... საკითხავია, სად მიდის დახმარება, რომელიც, თითქოსდა, არ გვაკლია ციდან და ზღვიდან...

**დადგება დრო და ხალხი მოიკითხავს, ჩემო ახალგაცნობილო მეგობარო, სად მიდიოდა უცხოეთის დახმარებები, მაგრამ, თქვენ რა?!**

ერთგულება

# მწერლის ქვრივი – ბიზნესმენების იმედად...



**ამ ქალბატონს ხანდაზმულობის ჟამს ეწვია მისი უდიდებულესობა სიყვარული. უცნაურად ეწვია. კოლეგებით და პაციენტებით დიდად პატივცემული მედიკოსი, მარტოხელა ქალბატონი თინათინ ბარამიძე შემთხვევით გაეცნო ცნობილი დრამატურგისა და პუბლიცისტის კიტა ბუაჩიძის პუბლიცისტურ კრებულს, მოიხიბლა, აღივსო ავტორისადმი დიდი სიმპათიით და პატივისცემით, მერე შემთხვევით შეხვდა კიდეც 80 წელს მიტანებულ მარტოხელა მწერალს, გულმა გული იცნო, და მალე უახლოესმა მეგობრებმა ჯვარი დასწერეს თინათინსა და კიტას.**

ცოტა ხანში ბატონი კიტა გარდაიცვალა და იქიდან მოყოლებული ქალბატონი თინათინი ყურადღებას არ აკლებს კიტა ბუაჩიძის შემოქმედებითს მემკვიდრეობას. გამოსცა მწერლის ცნობილი „შავი წიგნი“, რომელიც საქართველოში დემოგრაფიულ პრობლემებს ეძღვნა.

კიტა ბუაჩიძის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“ გამოსცემს მწერლის „რჩეულ თხზულებებს“, რომლის რედაქტორები არიან ბატონები ნოდარ ტაბიძე და თამაზ კვაჭანტირაძე. ეს 800-გვერდიანი კრებული აერთიანებს პუბლიცისტურ წერილებს – „შავი წიგნი“, „გრძელზე გრძელი უსტარი ვიქტორ ასტაფიევს; ორ დაუდგმელ პიესას – „პოლიხრონ ჩიჩია“ და „რვა მოქმედი პირი“; მწერლისადმი მიძღვნილ მოგონებებს. მაგრამ, როგორც ქალბატონი თინათინი ამბობს, გამომცემლობას ვინმე ღვთიან-მადლიანმა ბიზნესმენმა თანხა თუ არ ჩაურიცხა, კაცმა არ იცის, „რჩეული თხზულებები“ როდის იხილავს მზის სინათლეს.

ცდას არ აკლებს ქალბატონი თინათინ ბარამიძე-ბუაჩიძისა, რომ დაინტერესდნენ ბიზნესმენები, კერძოდ, მას დიდი იმედი აქვს ბატონ ივანე ჩხარტიშვილისა, რომელსაც ოფიციალური წერილითაც კი მიმართა, ვნახოთ. ამ სოლიდური გამოცემის თანხა შეადგენს 15000 ლარს. სამაგიეროდ, მკითხველი, და, მეტადრე, ახალგაზრდობა, მიიღებს შესანიშნავი დრამატურგისა და მგზნებარე პუბლიცისტის ერთად თავმოყრილ მემკვიდრეობას, ჭეშმარიტად, სამაგიდო წიგნს.

**ვილენ მარდალეიშვილის საავტორო გვერდი**

ფეხბურთი

# ესაა ნაკრები?



**წინა შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ერთი თვით ადრე საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მწვრთნელი ჯერ კიდევ არ ჰყავდა. ბუნებრივია, ნაუცბათევად მოწვეულმა ტოპმიოლერმა გუნდი ხეირიანად ვერც კი გაიცნო და მილიონიანი კონტრაქტის მიუხედავად, საკვალიფიკაციო რაუნდი ჩააფლავა.**

სიტუაცია ამჯერადაც მეორდება – კუპერმა „ჯვაროსანთა“ სათავეში დანიშვნიდან რამდენიმე კვირაში ბიჭების გაძლოლა ერთადერთ ამხანაგურ შეხვედრაში მოასწრო, ასე რომ, „მუნდიალ-2010“-ის სტარტზე ირლანდიელებთან განცდილი ფიასკო სავსებით კანონზომიერად შეგვიძლია მივიჩნიოთ – 1:2.

ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი ქართულ ფეხბურთში გამეფებული განუკითხაობისა და დანაშაულის ტოლფასი შეცდომების გამო? რასაკვირველია, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებსა და მის ნაციონალ მფარველებს.



ისე არ გაგვიგოთ, თითქოს თვით ბიჭების თამაში მოგვწონდეს. პირიქით, გულისტკივილით აღვნიშნავთ, რომ გუნდს მეკარე მხოლოდ ოქმში ჰყავს, რადგან: ისეთ გოლებს უშვებს, კაცს გული გაგისკდება; საიმედოობით არც მცველები გამოირჩევიან. საილუსტრაციოდ ის პოზიციური ლაფსუსები გამოდგება, უხვად რომ ახლდა თან კალაძისა და მის პარტნიორთა ბურთაობას; რაოდენობის ხუთამდე გაზრდის მიუხედავად, ძნელია რაიმე დადებითი შენიშნო შუახაზელთა გარჯაში. ეს განსაკუთრებით ბურთის დაჭერასა და შეტევების ორგანიზებაზე ითქმის; რაც შეეხება თავდასხმას, მას ვერანაირად ვერ შევაფასებთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი რგოლი ბუნებაში საერთოდ არ არსებობს. თუ ალექსიძეს დააბრალებთ ფორვარდობას, გიპასუხებთ, რომ იგი ეულად, ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე იყო გამწესებული წინ და ჯანიან ბრიტანელებს ისე ჰყავდათ ამოკეტილი, ბურთს სულ რამდენჯერმე შეეხო. ჰოდა, გეკითხებით, ესაა ნაკრები?

**გაეცანით შაბათის რაუნდის სრულ შედეგებს:**

**I ჯგუფი.** ალბანეთი – შვედეთი 0:0, მალტა – პორტუგალია 0:4, უნგრეთი – დანია 0:0.

**II ჯგუფი.** ლუქსემბურგი – საბერძნეთი 0:3, ისრაელი – შვეიცარია 2:2, მოლდოვა – ლატვია 1:2.

**III ჯგუფი.** პოლონეთი – სლოვენია 1:1, სლოვაკეთი – ჩრდილოეთ ირლანდია 2:1.

**IV ჯგუფი.** ლიხტენშტეინი – გერმანია 0:6, უელსი – აზერბაიჯანი 1:0.

**V ჯგუფი.** ესპანეთი – ბოსნია 1:0, სომხეთი – თურქეთი 0:2, ბელგია – ესტონეთი 3:2.

**VI ჯგუფი.** უკრაინა – ბელორუსია 1:0, ანდორა – ინგლისი 0:2, ხორვატეთი – ყაზახეთი 3:0.

**VII ჯგუფი.** ავსტრია – საფრანგეთი 3:1, რუმინეთი – ლიტვა 0:3, სერბეთი – ფარერები 2:0.

**VIII ჯგუფი.** საქართველო – ირლანდია 1:2, ჩერნოგორია – ბულგარეთი 2:2, კვიპროსი – იტალია 1:2.

**IX ჯგუფი.** მაკედონია – შოტლანდია 1:0, ნორვეგია – ისლანდია 2:2.

* * *

**სამხრეთ ამერიკის ზონა. VII ტური.** ჩილე – ბრაზილია 0:3, არგენტინა – პარაგვაი 1:1, პერუ – ვენესუელა 1:0, კოლუმბია – ურუგვაი 0:1, ეკვადორი – ბოლივია 3:1.

**სატურნირო მდგომარეობა:** პარაგვაი – 14, ბრაზილია, არგენტინა – 12-12, ურუგვაი – 11, კოლუმბია, ჩილე – 10-10, ეკვადორი – 8, ვენესუელა – 7, პერუ – 6, ბოლივია – 4 ქულა.

კალათბურთი

# ბრძოლები აღი იწყება



**არის ერთი ნაკრები, რომელიც მთელ საკალათბურთო ევროპას დაბრიყვებული ჰყავს და როცა მოეპრიანება, მაშინ ამარცხებს.**

ესაა ლუქსემბურგის ეროვნული გუნდი, რომელთანაც „ჯვაროსნებიც“ ძლევამოსილებად გამოიყურებიან. თუ არ გჯერათ, სტატისტიკას მივმართოთ – უკვე გამართული რვა მატჩიდან ჩვენმა თანამემამულეებმა ერთობ სასურველ მეტოქეს შვიდი მოუგეს, მათ შორის უკანასკნელი – სტუმრად 98:65. ეს გახლდათ ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონის საკვალიფიკაციო რაუნდის სასტარტო შეხვედრა.

დაგვეთანხმებით, ასეთი შედეგი ყველაფერზე მეტყველებს, ამიტომ ამჯერად მხოლოდ იგორ კოკოშკოვის შეგირდთა პირად მონაგარს გაგაცნობთ: ელისი – 24 ქულა, სანიკიძე – 20, ფაჩულია, ცქიტიშვილი – 11-11, ცინცაძე – 10, შერმადინი – 7, ვლადიმერ ბოისა – 6, ანატოლი ბოისა, გამყრელიძე – 3-3, ტუღუში – 2, შენგელია – 1 ქულა.

ამავე ჯგუფის კიდევ ერთ ბრძოლაში შვედებმა ირლანდიელებს სძლიეს – 82:63. ისვენებდნენ სლოვაკები.

**დანარჩენი თამაშები ასე დასრულდა: „ა“ ჯგუფი.** დანია – ავსტრია 64:73, ჰოლანდია – ჩერნოგორია 63:70. ისვენებდა ისლანდია. **„ბ“ ჯგუფი.** შვეიცარია – ალბანეთი 91:79, რუმინეთი – კვიპროსი **70:71**.

**დასასრულ, გთავაზობთ „გ“ ჯგუფის პირველი წრის დარჩენილი მატჩების კალენდარს.**

**10 სექტემბერი.** ირლანდია – საქართველო, სლოვაკეთი – შვედეთი.

**13 სექტემბერი.** სლოვაკეთი – საქართველო, ლუქსემბურგი – ირლანდია.

**17 სექტემბერი.** შვედეთი – საქართველო, სლოვაკეთი – ლუქსემბურგი.

**20 სექტემბერი.** ლუქსემბურგი – შვედეთი, ირლანდია – სლოვაკეთი.

ჭადრაკი

# ქართული დუბლი



**იზმირში დამთავრდა მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.** ათი შესაძლებლობიდან 8,5 ქულით პირველი ადგილი თორნიკე სანიკიძემ დაიკავა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა დავით მაღალაშვილი, რომელსაც მეორე ადგილი ხვდა. ამდენივე, ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მესამე იყო მიხაილ გურევიჩი. ასევე, 8 ქულით ქალთა შორის მთავარი პრიზი ნინო ბაციაშვილმა მოიპოვა.

დაფასება

# ბინებით დააჯილდოვეს

**პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველმა სპორტსმენებმა, მოგეხსენებათ, დიდი წარმატებას მიაღწიეს – მათ სამი ოქროს და ამდენივე ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ჩვენი ათლეტების გარჯა გმირობის ტოლფასია, რადგან ჯილდოები მაშინ დაიმსახურეს, როცა სამშობლოს რუსი აგრესორი უზომბავდა.**

სასიამოვნოა, რომ ბიჭებს შრომა უფასდებათ. კომპანია „აქსისის“ აქციონერთა გადაწყვეტილებით, ოლიმპიადის ოქროს მედალოსნებს – მანუჩარ კვირკველიას, ირაკლი ცირეკიძეს, რევაზ მინდორაშვილსა და ბრინჯაოს პრიზიორ გიორგი გოგშელიძეს საჩუქრად საცხოვრებელი კომპლექსის – „დიდუბის სამი გზის“ოროთახიანი ბინების ორდერები გადასცეს, ხოლო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა გოგი თოფაძემ, ასევე, ოროთახიანი ბინით მესამე პრიზიორი ოთარ თუშიშვილი დააჯილდოვა.



ღონისძიებას ესწრებოდნენ სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, სეოკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა გეწაძე.

**გოგი თოფაძე:** ჩვენმა სპორტსმენებმა პეკინში მთელ საქართველოს გმირობის და ვაჟკაცობის მაგალითი უჩვენეს, ამიტომ ისინი უფრო დიდ ჯილდოს იმსახურებენ, ვიდრე ჩვენ გავილეთ. დიდი მადლობა კომპანია „აქსისს“ გულუხვობისთვის.

სპორტისთვის სერიოზული ინვესტიციებია საჭირო. თუ ეს მოხერხდა, მერწმუნეთ, ლონდონში უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ. იმედია, ამ საქმეში თავიანთ წვლილს ბიზნესმენებიც შეიტანენ.

**რევაზ მინდორაშვილი:** ჩინეთის დედაქალაქში ქართველმა ოლიმპიელებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა სამშობლო გვესახელებინა. ჯილდოებზე მაშინ არც გვიფიქრია. თუმცა, სასიამოვნოა, როცა შრომას გიფასებენ. დიდი მადლობა „აქსისის“ ხელმძღვანელობას თანადგომისათვის.

**გიორგი გაგუა**

ინტერნეტიდან



## სერენა უილიამსის ტრიუმფი

**წლევანდელ საჩოგბურთო სეზონში ამერიკის ღია ჩემპიონატზე US Open ფინალში სერბი ელენე იანკოვიჩის დამარცხებით – 6:4, 7:5 – სერენა უილიამსმა „ორი კურდღელი დაიჭირა“ – ეს მისთვის დიდი მუზარადის ტურნირებზე მეცხრე გამარჯვებაა, თანაც WTA ახალ რეიტინგს სათავეში მოექცა, რაც მისთვის 58-ე იქნება. პირველად მან „სადედოფლო ტახტზე“ 2002 წლის ივლისიდან 2003 წლის აგვისტომდე 57 კვირა გაატარა.**

ადრე სერენამ სამჯერ გაიმარჯვა ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე (2003, 2005, 2007ძ, ერთხელ – „როლან გაროსზე (2002ძ, ორჯერ – უიმბლდონზე (2002, 2003ძ და ორჯერ – ამერიკის ღია ჩემპიონატზე (1999, 2002ძ.

## ყველაფერი წვიმის ბრალი როდია

**მართალია, ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის მორიგ ეტაპზე – „ბელგიის გრან-პრი“ – ფინიშთან პირველი ლუის ჰემილტონი იყო, მაგრამ მეორე დღეს შედეგების გადასინჯვისას რბოლის ორგანიზატორებმა მოსახვევის დაუშვებელი მოჭრისთვის „მაკლარენის“ მრბოლს 25 წამი დაუმატეს და მესამე ადგილზე გადაანაცვლეს.**

რბოლის გამარჯვებულად კი „ფერარის“ ბრაზილიელი პილოტი ფელიპე მასა გამოაცხადეს, მეორე ადგილზე გადაინაცვლა „BMW-ზაუბერის“მრბოლმა ნიკ ჰაიდფელდმა.

კვირას რბოლის ლიდერი ჰემილტონი დიდხანს „ფეხდაფეხ მისდევდა“ კიმი რაიკონენს („ფერარი“ძ, თუმცა ის ბოლო წრეზე, როდესაც კოკისპირული წვიმა წამოვიდა, ტრასიდან გამოვარდა და ბრძოლას გამოეთიშა.



## ◉ მშვიდობის გვეშინოდეს!



რუსული აგრესიის დღეებში პრეზიდენტი, მისი აპარატი, მთავრობა და განსაკუთრებით სპეცსამსახურები თავზე ჭერის გარეშე, ულუკმაპუროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის ნორმალური პირობების შექმნის გარდა (რა პირობების შეუქმნეს, საზოგადოებისთვის ცნობილია) აკვირდებოდნენ, თუ ვინ როგორ იქცეოდა. ვინ მისცა ინტერვიუები რუსულ ტელევიზიებს და ა.შ. აკვირდებოდნენ, თუ როგორ იქცეოდნენ პარლამენტარები უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, საჯარო ასპარეზზე. უცხოელი დიპლომატებისა და მათი ქვეყნების წარმომადგენელ ჟურნალისტებთან. „დღეს ჩვენ ვართ სიტუაციაში, როდესაც ჩვენი დამარცხება შეუძლია მხოლოდ ერთ ძალას, ეს ძალა ისევ ქართველებია, — განუცხადა პარლამენტარებს პრეზიდენტმა. იქვე კი მრავალმნიშვნელოვნად დაამატა. თუ საკუთარ თავს ჩვენ თვითონვე არ გავუსწორდით, ამიერიდან ვერანაირი ტანკები და სხვა სამხედრო ტექნიკა ვეღარ დაგვამარცხებსო.

სააკაშვილმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ რფ-ს სპეცსამსახურები პირადად მას ებრძვიან. ეს ხდება გიორგაძის მომხრეთა მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში თანხების ჩადებით, მისი აზრით, ყველაფერი 2006 წლიდან დაიწყო. რუსეთმა ამაში დიდი ფული ჩადო.

ექსპერტთა მოსაზრებით, პრეზიდენტი მიანიშნებდა, რომ გასული წლის ნოემბრის აქციები, რომლებიც 2008 წლის ზამთარშიც გაგრძელდა, რუსეთის სპეცსამსახურებისგან იყო ინსპირირებული და დაფინანსებული. მაგრამ ქვეყნის პირველმა პირმა ეს არ ან ვერ თქვა.

# მთავარსარდალი ყველას აკვირდება!

**ჭორების ფაბრიკა**

**დღევანდელი ხელისუფლება ყოველივე ძველის მივიწყებას ცდილობს და ამ მოვლენებს ხან „კომუნისტურ გადმონაშთს“ უწოდებს, ხანაც „შევარდნაძის ნარჩენებს“. მაგრამ ყველა მათგანს წარმატებით იყენებს ცხოვრებაში და, რაც მთავარია, უკიდურესად სასტიკ ფორმებში (მართლმსაჯულება, დაკავებულისა და ყველა საშუალებით, ალიარებით ჩვენების მიღება, — პატიმრებთან მოპყრობა და ა.შ.). ერთ-ერთი „გადმონაშთის“ გამოყენება „ვარდებით“ მოსულებმა სულ ახლახანს დაიწყეს.**

სსრკ-ის პერიოდში, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ცკ-თან არსებობდა საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ინსტიტუტი. მას სხვა საკითხებთან ერთად ევალებოდა საზოგადოებაში ჭორების გავრცელება. მოარული ხმები ვრცელდებოდა პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელ მუშაკებზე. ცნობილ საზოგადო მოღვაწეებზე, კულტურის, მეცნიერებისა და სხვა სფეროების წარმომადგენლებზე. ხმების გავრცელებას, როგორც ამ ყოფილი ორგანოს ყოფილი თანამშრომელი გვიყვება (გასაგები მიზეზების გამო მისი ვინაობის დასახელებისგან თავს ვიკავებთ), მრავალი დანიშნულება ჰქონდა. მიზანი ჭორების გავრცელებისა იყო ცნობილი პიროვნებების დისკრედიტაცია, საზოგადოების შემზადება, ამა თუ იმ პირის თანამდებობიდან განთავისუფლება, ზოგჯერ შესაძლო დაპატიმრება და მასზე ხალხის რეაქცია.

დღევანდელმა ხელისუფლებამაც კარგად დავიწყებული მეთოდის ცხოვრებაში შემობრუნებას მიჰყო ხელი.

**როდის დაიწყება „კუდიანებზე“ ნადირობა**

**როგორც კი პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ რუსეთის სპეცსამსახურები იბრძვიან და მისი გადაყენების შემდეგ გაპირველკაცებას იგორ გიორგაძეს უპირებენ, ამუშავდა ჭორების ფაბრიკა. გავრცელდა ხმები, რომ „სამართლიანობის“ პარტიის რამდენიმე წევრი დააკავეს თბილისსა და ზუგდიდში. თუმცა, მათი ვინაობა არ სახელდება.** დაკავებულები ხელისუფლებასთან დაახლოებულ ტელევიზიებსაც არ უჩვენებიათ. მათ კი მძიმე ბრალდებები აქვთ წაყენებული. რუსეთის აგრესიის დროს ამ ქვეყნის მხარდამჭერი პროკლამაციების გავრცელება. „სამართლიანობის“ პარტიის რომელიმე წევრის დაკავების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს ირინა სარიშვილიც.

ჭორების გავრცელება არა მხოლოდ საზოგადოების შემზადებასა და მასზე მოსახლეობის რეაქციას ისახავს მიზნად. თანამედროვე პოლიტიკური ელიტა მათთვის არასანდო პიროვნებებზე მორალური ზემოქმედების საშუალებასაც წარმოადგენს — გვიხსნის ჩვენი რესპონდენტი. ჭორების ობიექტი მუდამ დაზაფრულია.

გავრცელდა ხმები, რომ რუსეთის ჩამოგდებული თვითმფრინავის ერთ-ერთ პილოტს უპოვეს მობილური ტელეფონი. მასზე დაფიქსირებული შემავალი ზარები, ერთ-ერთი მათგანი ტელეიმედის ხელმძღვანელს ბიძინა ბარათაშვილს ეკუთვნოდა. როგორც ირკვევა, იგი ჯერ არავის დაუკავებია. სამართალდამცავებთან დაკითხვაზე და ჩვენებების მისაცემად კი ნამდვილად იყო.

ინკოგნიტო ინფორმაციის მომწოდებელი იმასაც გვიხსნის, რომ არც თუ იშვიათად მოარული ხმების გავრცელებას საკუთარ თავზეც ცდილობდნენ მაღალი რანგის ჩინოვნიკები. მათ ამით სურდათ საზოგადოებისათვის შემდგომ დაენახებინათ თავიანთი უცოდველობა, ზოგჯერ ყოვლისშემძლეობა.

საინტერესოა, რით ხელმძღვანელობდნენ კანცელარიის უფროსის კახა ბენდუქიძის პატიმრობაში აყვანის თაობაზე ხმების გამავრცელებელნი. ერთი კი ცხადია: ამის შემდეგ ხელისუფლებასთან ახლო კავშირების მქონე ტელევიზიების საინფორმაციო პროგრამებში ბენდუქიძის ფიზიონომია არნახულად ხშირად ფიგურირებს. რას ამტკიცებს ამით იგი — უცოდველობას თუ ძლევამოსილებას?

სამაგიეროდ, ოფიციოზი არაფერს აცხადებს იმ პირთა შესახებ, რომლებიც მართლაც იმსახურებენ დაკავებას. კულუარული ინფორმაციებით ცნობილი ხდება, რომ ბევრი სამხედრო მაღალჩინოსანი დაჰყავთ დაკითხვებზე. ზოგ მათგანს აკავებენ კიდეც. რამდენიმედღიან ომს ხომ სწორედ სამხედრო ჩინოსანთა უვიცობისა და სიმხდალის გამო მოჰყვა არნახული მსხვერპლი. სხვათა შორის ეს, რომ მთლად მოარული ხმები არ უნდა იყოს, იქიდანაც ჩანს, რომ ბოლო დღეებში თავდაცვის სამინისტროს გენერალურ შტაბსა და მსხვილ სამხედრო შენაერთებში მაღალჩინოსანთა საკადრო ცვლილებები დაიწყო. სად არიან აწ უკვე ყოფილები ძალიან ძნელი სათქმელია, რადგანაც ჟურნალისტთა ზარებს ისინი შეგნებულად არ პასუხობენ ან უკვე „მოდულის“ შენობაში იმყოფებიან.

**ზაზა ბილიხოძე**

## განცხადება

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) განმეორებით აცხადებს ღია აუქციონს კოოპერატივი „დიდიჭყონი № 1“-ს ს/ნ 235431537 (მდებარე: მარტვილის რ-ნი, სოფ. დიდი ჭყონი) დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით. სარეალიზაციოდ გამოტანილ იქნება კოოპერატივი „დიდიჭყონი № 1“-ს შემდეგი დასახელების ქონება:**

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
|---|---|---|---|---|
| | | | [illegible] | [illegible] |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | [illegible] | [illegible] | | [illegible] |
| 2 | [illegible] | [illegible] | | [illegible] |
| 3 | [illegible] | [illegible] | | [illegible] |
| 4 | [illegible] | [illegible] | | [illegible] |
| 5 | [illegible] | [illegible] | | [illegible] |
| 6 | [illegible] | [illegible] | | [illegible] |
| 7 | [illegible] | | | [illegible] |
| 8 | [illegible] | [illegible] | | [illegible] |
| 9 | [illegible] | [illegible] | | [illegible] |
| 10 | [illegible] | [illegible] | | [illegible] |
| 11 | [illegible] | [illegible] | | [illegible] |
| 12 | [illegible] | [illegible] | | [illegible] |
| 13 | [illegible] | [illegible] | | [illegible] |
| 14 | [illegible] | [illegible] | | [illegible] |
| 15 | [illegible] | [illegible] | | [illegible] |
| | [illegible] | | | [illegible] |

**ქონების საერთო ღირებულება: 61620 (სამოცდაერთიათას ექვსასოცი) ლარი**

**ქონების ადგილმდებარეობის ფაქტიური მისამართია: მარტვილის რ-ნი, სოფ. დიდი ჭყონი.**

**აუქციონი გაიმართება 2008 წლის 25 სექტემბერს 12 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: ქ. მარტვილი, თავისუფლების ქ. № 10, ფოთის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მარტვილის ოფისის შენობაში.**

**აუქციონზე ქონების შეძენის მსურველებმა აუქციონის ჩატარებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე უნდა შეიტანონ შესაძენი ქონების ღირებულების 2% (მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ცენტრალიზებული ანგარიშის ნომერი 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი 302003000). მესამე პირებს, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე უფლება აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილ ქონებაზე, შეუძლიათ მიმართონ ფოთის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) აუქციონის ჩატარებამდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. № 7. ტელ: 8(293)2-07-04; 8(293)2-07-06.**

## ◉ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის მფლობელი. ამ რამდენიმე წლის წინათ მივიღე ერთდროული დახმარება, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ იგი სწორად მომცეს. როგორი წესით და ოდენობით განისაზღვრება აღნიშნული დახმარება კანონის შესაბამისად?**

**ვახტანგ გოგოხია**

**პასუხი:** საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ პარლამენტის მიერ 1992 წ. მიღებული საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენზე ერთდროული ფულადი პრემია განსაზღვრულია შრომის ანაზღაურების 50 მინიმალური ოდენობით.

* * *

**კითხვა: ვმუშაობ კერძო სექტორში, 3 თვეში ველოდები პირველ შვილს, მაქვს ანაზღაურება თვეში საშუალოდ 400-500 ლარი. რა ოდენობის დახმარებას მივიღებ ორსულობისა და მშობიარობის გამო?**



**ლონდა ოჩგაიძე**

**პასუხი:** „საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის თანახმად, ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარება გაიცემა „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით“. ამჟამად კერძო სტრუქტურაში მომუშავე ქალის ზემოაღნიშნული დახმარება გაიცემა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მაგრამ საერთო ჯამით არაუმეტეს 600 ლარის ოდენობით.

* * *

**კითხვა: ვარ ასაკით პენსიონერი, ვცხოვრობ თბილისში და დანიშნული მაქვს 80 ლარი. 6 თვეს არ ვიმყოფებოდი ძირითად საცხოვრებელ ადგილზე — ხან საავადმყოფოში ვიწექი, ხან მორიგეობით შვილებს ვყავდი წაყვანილი თავიანთ ოჯახებში მოსავლელად, ამიტომ ბანკში პენსიის ასაღებად ვერ მივედი. ახლა გამომიცხადეს, პენსია შეწყვეტილი გაქვსო. მე კი იგი ძალიან მჭირდება, როგორ მოვიქცე?**

**ლილი მჭედლური**

**პასუხი:** პენსიის განახლების თაობაზე, გირჩევთ, დაუყოვნებლივ მიმართოთ განცხადებით სოციალური სუბსიდიების სააგენტოს თქვენი რაიონის ფილიალს (ე.ი. იმ ორგანოს, საიდანაც პენსია გაქვთ დანიშნული) პენსიის გაცემა აღგიდგებათ და მიუღებელი 6 თვის პენსიაც უდანაკარგოდ მოგეცემათ.

* * *

**კითხვა: ჩემს მეუღლეს, კანონის ყველა წესის დაცვით, ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია, დართოს მას ბავშვის ნახვის ნება,თუ მე ეს არ მსურს?**

**ლაურა აბულაძე**

**პასუხი:** მშობლის უფლებაჩამორთმეულ პირს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ შეიძლება დართოს ბავშვის ნახვის ნება, გამონაკლისის შემთხვევაში, თუ ეს მავნე გავლენას არ მოახდენს ბავშვზე.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

თანადგომა

# „ტირილითა და გლოვითა მტერნი არ შაგვიბრალებენ“

## რექტორთა ჯგუფი გორის უნივერსიტეტში



3 სექტემბერს დავით აღმაშენებლის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ანზორ შარაშენიძე, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ამირან მექვაბიშვილი, გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ვახტანგ ფერაძე გორის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვივნენ. საუნივერსიტეტო რექტორთა საბჭოს ინიციატივით (თავმჯდომარე ანზორ შარაშენიძეძ, ეს ჯგუფი უკვე იმყოფებოდა გორელ ლტოლვილებთან თბილისის სკოლებში და 7000 ლარის პროდუქტები მიაწოდეს. ამჯერად კი რექტორებმა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის დიდძალი საკანცელარიო ნივთები ჩამოიტანეს.

თბილისიდან ჩამოსულ რექტორთა ჯგუფს კოლექტივთან ერთად კმაყოფილებით შეხვდა გორის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზაზა ცოტნიაშვილი. იგი გულთბილად მიესალმა სტუმრებს და მადლობა გადაუხადა ასეთი ძმური მხარდაჭერისთვის, დახმარებისთვის.

– ჩვენთან ასეთითვე მისიით უკვე იმყოფებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორი ქალბატონი ნინო ჩუბინიძე, რომელმაც პირველი საჩუქარი მოგვართვა, – გვითხრა ზაზა ცოტნიაშვილმა, – ძალიან გაგვახარა აგრეთვე ჩვენ დასახმარებლად ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის რექტორის ამირან მექვაბიშვილის მიმართვამ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა თაობის კურსდამთავრებულებისადმი (მას ქვემოთ გთავაზობთ). უკვე არის პირველი საიმედო სატელეფონო შეტყობინებები.

**ნანა კირკიტაძე,**
**ლევან ანჩაბაძე.**
**სურათზე: რექტორთა ჯგუფი გორის უნივერსიტეტში**

### ქალაქ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა კურსდამთავრებულს!

გორის უნივერსიტეტის ყველა თაობის კურსდამთავრებულებო, თქვენდამი მომართვის გაკეთებამდე, მე უკვე ვიყავი გორში, საქართველოს კერძო უნივერსიტეტის საბჭოსთან ერთად გადავწყვიტე და მოვინახულე ლტოლვილებიც (ქ. თბილისის №175-ე საშუალო სკოლაშიძ, რომელთაც იმ უნივერსიტეტის, რომელსაც მე ამჟამად ვხელმძღვანელობ, დანაზოგებიდან შევუძინე 1000 ლარის პროდუქტი და საყოფაცხოვრებო ნივთები. სულ ამ დღეს უნივერსიტეტის საბჭოს წევრებისგან (თავმჯდომარე პროფესორი ა. შარაშენიძეძ ლტოლვილებს გადაეცათ 7000 ლარის საქონელი. მაგრამ მე მაინც მიმაჩნია, რომ უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ ყველამ და ამ შემთხვევაში გორის უმაღლესი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა, რომლებიც ჯერ კიდევ ვმუშაობთ.

უშუალოდ მივმართავ ჩემი სტუდენტობის მეგობრებს: გიორგი ვაზაგაშვილს, ვლადიმერ ზექალაშვილს, ალექსანდრე ლაბაძეს, ჯულიეტა მაყაშვილს, გურგენ ნოზაძეს, შოთა ღონღაძეს და სხვებს, რათა დამიკავშირდნენ და ერთობლივი ძალით მეტი გავაკეთოთ. შესაძლოა, სჯობდეს ამ დღეებში შევხვდეთ ქალაქ გორში, მშობლიურ სასწავლებელში. რთულ მომენტში საქვეყნოდ ხელის გამოღება ჩვენი ღირსების საქმეა.

პატივისცემით
**ამირან მექვაბიშვილი,**
ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის რექტორი.

დამიკავშირდით: 93-66-03, 36-28-34, 899-18-89-24.

ხსოვნა

# გუგული გოდერძიშვილი



გარდაიცვალა საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის ინფექციურ და ინფაზიურ სნეულებათა დეპარტამენტის სრული პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ბატონი გუგული ილიას ძე გოდერძიშვილი.

დაიბადა 1927 წლის 17 ოქტომბერს საგარეჯოში. წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტი და ლენინგრადში ასპირანტურა, 1953 წელს იქვე დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1967 წელს – მოსკოვში – სადოქტორო დისერტაციები. სხვადასხვა წლებში მუშაობდა პარაზიტოლოგიისა და ვეტერინარულ-სანიტარიული კათედრის გამგედ, სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის დეკანად, უნივერსიტეტის პრორექტორად და რექტორად. ხელმძღვანელობდა კავკასიის მასშტაბით რეგიონალურ სადისერტაციო საბჭოს.

ბატონი გუგულის მიერ განვლილი გზა – ეს არის სამაგალითო ისტორია ადამიანისა, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული მოღვაწეობა მოახმარა ვეტერინარიის დარგის განვითარებას და ღირსეული თაობების აღზრდას როგორც მეცნიერებაში, ასევე სასწავლო დარგში, რითაც აკადემიკოსმა მყარი საფუძველი ჩაუყარა სამეციერო-პედაგოგიური კადრების შესანიშნავ ბაზას.

აკადემიკოს გ. გოდერძიშვილის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა ვეტერინარიის დარგის ყველა სფეროს მოიცავს, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ფასდაუდებელი ამაგი ჰელმინთოლოგიის განხრით, სადაც მეცნიერმა არაერთი გამოგონება დანერგა. პირველ რიგში მის მიერ შემუშავებულ პრეპარატს დარიშხანმჟავა კალას გამოვყოფდით, რომელმაც მეცნიერს უდიდესი და დამსახურებული აღიარება მოუტანა მთელ მსოფლიოში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 23-ზე მეტი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია, გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მიღებული აქვს 4 საავტორო მოწმობა გამოგონებაზე, ავტორია 7 წიგნისა და ბროშურის.

ღირსეული მეცნიერის ამაგი და ღვაწლი სათანადოდაც დაფასდა. ბატონი გუგული არჩეული იყო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად, აზერბაიჯანის საპატიო ინტელიგენტად, იყო მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დაჯილდოებულია არაერთი მედლით და ორდენით, მათ შორის „ღირსების ორდენით“.

ბატონი გუგული იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, ვისაც სიცოცხლეშივე წილად ხვდა უდიდესი აღიარება და დაფასება, რაც ერთეულთა ხვედრია. ნათელში ამყოფოს მისი სული, მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა.

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

**განცხადება**

2008 წლის 1 ოქტომბრიდან იწყება სს „ოქროს საწმისი“, მ.ს.ნ.ს-ის ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, გორგასლის ქუჩა 40.
ტელ: 8-99-54-37-85.

შპს „სამთომაშველი“, ქ. თბილისი, თრიალეთის №54, აცხადებს აუქციონს შპს „სამთომაშველის“ ბალანსზე რიცხული მიწის (საერთო ფართი 5200 $სმ^2$ძ ნაკვეთიდან 6 კვ.მ.-ის იჯარით გაცემაზე 2 წლის ვადით (თვიური საიჯარო გადასახადი 1750 ლარიძ.
აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს გაზეთში გამოცხადების დღიდან 2 კვირის განმავლობაში ტელ: 822-27-83-79.
დირექტორი
თენგიზ ვადაჭკორია

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.